

**მინდია უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში,  
თბ., 1982, გვ. 74 (რეცენზია)**

წინამდებარე სტატიაში განხილულია პროფ. მინდია უგრეხელიძის მონოგრაფია – ბრალი საფრთხის დელიქტებში, რომელშიც ავტორს განხილული აქვს განზრახვა და გაუფრთხილებლობა, როგორც ბრალის ფორმები, ვინაიდან განსახილველი წიგნის ავტორი იმ შეხედულების მხარდამჭერია, რომელიც განზრახვას და გაუფრთხილებლობას ბრალის ფორმებად განიხილავს. სტატიაში მსჯელობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის საფრთხის დელიქტებში შესაძლებელი განზრახვის და გაუფრთხილებლობის ორივე საკანონმდებლო სახე (პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვა, თვითიმედოვნება და დაუდევრობა). გაკრიტიკებულია ის მოსაზრება, რომელიც უარყოფს არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით საფრთხის დელიქტების შესაძლებლობას. განხილვის საგანს წარმოადგენს შედეგით კვალიფიცირებული საფრთხის დელიქტები და მათი აგებულება. სტატიაში ასევე გაანალიზებულია მართლწინააღმდეგობა და ბრალი, როგორც დანაშაულის ელემენტები. დადებითად არის შეფასებული და არგუმენტირებულად დასაბუთებული შეხედულებები, რომლებიც მართლწინააღმდეგობას წარმოგვიდგენენ, როგორც სისხლის სამართლის ნორმასთან ქმედების შეუსაბამობას, ხოლო ბრალს, ვითარცა სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას.

**საკვანძო სიტყვები:** არაპირდაპირი განზრახვა, პირდაპირი განზრახვა, თვითიმედოვნება, დაუდევრობა, საფრთხის დელიქტები, მართლწინააღმდეგობა, ბრალი.

**1. შესავალი**

სისხლის სამართალში დელიქტების კლასიფიკაციაში ერთ-ერთ ჯგუფად გამოყოფენ საფრთხის დელიქტებს, რომელიც გულისხმობს დელიქტების ისეთ ტიპს, სადაც ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ნიშანი ან ქმედების შემადგენლობის შექმნის საკანონმდებლო მოტივია სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნა. ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში საფრთხის შემქმნელი დელიქტების არაერთი შემადგენლობა გვხვდება. უფრო მეტიც, დღეს მოქმედ კოდექსში ერთი თავი ეთმობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელ დელიქტებს. საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შემადგენლობანი გვხვდება სხვა თავებშიც. საფრთხის შემქმნელი დელიქტები გათვალისწინებული იყო წინამორბედ სისხლის სამართლის კოდექსშიც.

ქართველი მეცნიერებიდან საფრთხის შემქმნელ დელიქტებს პირველად ყურადღება პროფ. თინათინ წერეთელმა მიაქცია<sup>1</sup>. ხოლო მოგვიანებით ერთ-ერთი პირველი მონოგრაფიული ნარკვევი პროფ. მინდია უგრეხელიძემ მიუძღვნა – ბრალი საფრთხის დელიქტებში, 1982. აღნიშნულმა ნაშრომმა მკითხველთა, სისხლის სამართლის პრობლემე-

\* სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

<sup>1</sup> *Церетели Т.В.*, Деликты создания опасности, Журн. «Советское государство и право», №8, 1970.

ბით დაინტერესებულ პირთა ფართო ინტერესი გამოიწვია, სწორედ აღნიშნული ნაშრომის განხილვას ეძღვნება წინამდებარე წერილი.

## 2. დელიქტების კლასიფიკაცია: საფრთხის დელიქტები, შედეგიანი და შედეგარეშე დელიქტები

როგორც ითქვა, საფრთხის დელიქტები დელიქტების ერთ-ერთი სახეა, მაგრამ საფრთხის დელიქტებიც თავის მხრივ ასევე იყოფა აბსტრაქტულ და კონკრეტულ საფრთხის დელიქტებად. სისხლის სამართლის ლიტერატურაში აზრთა სხვაობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, საფრთხის დელიქტების თუ რამდენი სახე არსებობს. მაშინ როცა ავტორთა ერთი ნაწილი საფრთხის შემქნელ დელიქტებს სამ სახედ ყოფს და ერთ-ერთ დამოუკიდებელ სახედ გამოყოფს აბსტრაქტულ-კონკრეტულ საფრთხის დელიქტებს, მ. უგრეხელიძე<sup>2</sup> გვთავაზობს საფრთხის დელიქტების ტრადიციულ, ორსახოვან დაყოფას<sup>3</sup>. აღნიშნული მოსაზრება მართებულად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ საფრთხის დელიქტების საკანონმდებლო შემადგენლობათა აღწერილობა არაერთგვაროვანია და თითქოს ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტების გარდა კიდევ არსებობს სხვა სახის საფრთხის დელიქტები, რომელიც არ იქნებოდა მიკუთვნებული დასახელებული საფრთხის დელიქტებს.

კონკრეტული საფრთხის დელიქტებში კანონმდებელი მიუთითებს სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნაზე (სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, 127-ე მუხ.)<sup>4</sup>, ხოლო აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში კანონმდებელი მხოლოდ დასჯად ქმედებას აღწერს საფრთხის შექმნაზე მითითების გარეშე (უკანონო აბორტი, 133-ე მუხ.). მაგრამ კოდექსში გვხვდება ისეთი შემადგენლობებიც, სადაც საუბარია მავნე შედეგის გამოწვევის შესაძლებლობაზე (241-ე და 242-ე მუხ.). სისხლის სამართლის ლიტერატურაში სწორედ ეს უკანასკნელი ტიპის შემადგენლობებია საკამათო. მართალია, ზოგიერთი ავტორი აღნიშნულ დელიქტებს საფრთხის დელიქტების დამოუკიდებელ სახედ (აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები<sup>5</sup>) გამოყოფს<sup>6</sup>, მაგრამ აღნიშნული მოსაზრება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, თუ რამდენი სახე არსებობს საფრთხის დელიქტების, ჩნდება კითხვა, თუ რა პრინციპით უნდა მოხდეს კლასიფიკაცია. გასათვალისწინებელია, რომ სამართლებრივ სიკეთეს აბსტრაქტული საფრთხე ექმნება ან კონკრეტული საფრთხე, არ არსებობს აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხე. შესაბამისად, თუ საფრთხის დელიქტების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს შექმნილი საფრთხის მიხედვით, მაშინ მართებულია საფრთხის დელიქტების დაყოფა ორ ჯგუფად. მაგრამ თუ ამოსავალი

<sup>2</sup> უგრეხელიძე მ., ბრალისაფრთხისდელიქტებში, თბ., 1982, 2.

<sup>3</sup> საფრთხის დელიქტების ტრადიციულ ორსახოვან დაყოფაზე ასევე იხ. *Zieschang F.*, Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998, 15-22.

<sup>4</sup> *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 6. Aufl., Stuttgart, 2019, 58, Rn. 163.

<sup>5</sup> აბსტრაქტულ-კონკრეტულ საფრთხის დელიქტებს პირველად ყურადღება გერმანელმა მეცნიერმა კ. შროდერმა მიაქცია და მანვე გამოიყენა აღნიშნული ტერმინი დასახელებული ტიპის დელიქტების აღსანიშნავად. იხ. *Schröder H.*, Abstrakt-konkrete Gefährdungsdelikte?, JZ 1967, 522.

<sup>6</sup> *Fischer Th.*, Das Verhältnis der Bekenntnisbeschimpfung (§ 166 StGB) zur Volksverhetzung (§ 130 StGB), GA 1989, 454.

წერტილი იქნება ქმედების შემადგენლობის აგებულება, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი საუბარი მესამე ტიპის საფრთხის დელიქტებზე აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების სახით, რომელსაც ახასიათებს როგორც ტიპიური, კლასიკური აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისთვის, ისე კონკრეტული საფრთხის დელიქტებისთვის დამახასიათებელი ნიშნები. თუმცა, ეს არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ საფრთხის დელიქტების კლასიფიკაციისთვის და იმის დასადგენად, თუ რომელ საფრთხის დელიქტს ეხება საქმე, ქმედების შემადგენლობის აგებულება რომ ირელევანტურია. მაგრამ ამასთან ერთად სათვალავშია მისაღები ისიც, თუ რა სახის საფრთხის არსებობაა შესაძლებელი.

სისხლის სამართალში საკამათოა არა მხოლოდ ის, თუ რამდენი სახე არსებობს საფრთხის დელიქტების, არამედ ისიც, საერთოდ არსებობს თუ არა აბსტრაქტული საფრთხე. ე. ჰილგენდორფის მტკიცებით, აბსტრაქტული საფრთხე არ არსებობს. საფრთხე ყოველთვის კონკრეტულია<sup>7</sup>, მაგრამ არც ეს მოსაზრება არის გასაზიარებელი, ვინაიდან თუ უარყოფთ აბსტრაქტული საფრთხის არსებობას და საფრთხეს ყოველთვის კონკრეტულად, რეალურად ჩავთვლით, საფუძველი გამოეცლება საფრთხის დელიქტების კლასიფიკაციას აბსტრაქტული და კონკრეტული საფრთხის დელიქტებად.

საფრთხის დელიქტებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიულ კვლევაში მ. უგრეხელიძე საგანგებო ყურადღებას ამახვილებს საკითხზე იმის შესახებ, თუ რა თანაფარდობაშია საფრთხის დელიქტების ცნება ე. წ. „მატერიალური“ და „ფორმალური“ შემადგენლობების ცნებებთან. მაშინ, როცა ავტორთა ერთი ნაწილი ყველა სახის საფრთხის დელიქტებს ფორმალურ შემადგენლობებს მიაკუთვნებს<sup>8</sup>, მ. უგრეხელიძე სავსებით მართებულად ახდენს მათ დიფერენცირებას. თუ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს ფორმალურ დელიქტად განიხილავს, კონკრეტულ საფრთხის დელიქტს, სავსებით მართებულად, მატერიალურ დელიქტად მიიჩნევს<sup>9</sup>. თუმცა, ავტორი კონკრეტულ საფრთხეს არ მიიჩნევს შედეგად<sup>10</sup>, რაც საკამათოდ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან თუ კონკრეტულ საფრთხეს არ მივიჩნევთ შედეგად სამართლებრივი გაგებით, შეუძლებელი იქნება მისი მიკუთვნება შედეგიანი დელიქტებისთვის.

კონკრეტული საფრთხის დელიქტი რომ შედეგიან დელიქტს წარმოადგენს, დასტურდება საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლითაც, რომელიც კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობაზე მიუთითებს<sup>11</sup>. მე-8 მუხლში ერთმანეთისგან არის გამიჯნული მართლსაწინააღმდეგო შედეგი და კონკრეტული საფრთხე, მაგრამ ეს გამიჯვნა, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

როგორც მართებულად აღნიშნავდა თ. წერეთელი, კონკრეტული საფრთხის შექმნაც შედეგია<sup>12</sup> შედეგის იმ გაგებით, რომლითაც ერთმანეთისგან იმიჯნება შედეგიანი

<sup>7</sup> Hilgendorf E., Die Neuen Medien und das Strafrecht, ZStW 2001, 662-663.

<sup>8</sup> ტყეშელიძე გ. წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, 204, 206; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, 163.

<sup>9</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 5-6.

<sup>10</sup> იქვე, 13, 3.

<sup>11</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, 420.

<sup>12</sup> იქვე, 419.

და შედეგადად დელიქტები. კონკრეტული საფრთხის დელიქტებს შედეგიან დელიქტებს მიაკუთვნებენ გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში<sup>13</sup>. კონკრეტული საფრთხე რომ შედეგს არ წარმოადგენდეს შეუძლებელი იქნებოდა მიზეზობრივი კავშირის დადგენა. მიზეზობრივი კავშირი დგინდება შედეგიან დელიქტებში. იქ სადაც საუბარია შედეგზე, იგულისხმება მიზეზი და პირიქით, იქ, სადაც საუბარია მიზეზზე, იგულისხმება შედეგი. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში იმიტომ არ ხდება მიზეზობრივი კავშირის დადგენა, რომ როგორც წესი, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, უმეტეს შემთხვევაში, არ არსებობს ისეთი საფრთხე, რომელიც ქმედებისგან გაიმიჯნება. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში საქმე ეხება მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამომწვევის მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობას<sup>14</sup>. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედების საშიშროება ქმედების თვისებად მიიჩნევა. აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტი იმიტომ ისჯება, რომ საქმე ეხება ქმედებას, რომელიც არის საშიში თვისებების მქონე, რომელსაც აქვს იმის უნარი, რომ წარმოშვას საზიანო შედეგი.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოა საკითხი იმის შესახებ, ზოგიერთი დელიქტი შედეგიან დელიქტებს უნდა მიეკუთვნოს, თუ უშედეგო, ფორმალურ დელიქტებს. ერთ-ერთ ასეთ დანაშაულს წარმოადგენს გაუპატიურება. მ. უგრეხელიძის თვალსაზრისით, გაუპატიურება შედეგიანი დანაშაულია<sup>15</sup>. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს ავტორთა ერთი ნაწილი<sup>16</sup>. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, გაუპატიურება მატერიალური (შედეგიანი) დანაშაულია, ვინაიდან გაუპატიურება ლახავს დაზარალებულის სქესობრივ თავისუფლებას, მის პატივს და ღირსებას. აღნიშნული მიჩნეულია გაუპატიურების მძიმე შედეგად. მოცემული თვალსაზრისით, გაუპატიურება ფორმალურ დანაშაულად შეიძლება მიჩნეულიყო მაშინ, თუ გაუპატიურებას დამთავრებულად ვცნობდით ძალადობის ან მუქარის განხორციელებისთანავე და სავალდებულო არ იქნებოდა სქესობრივი კავშირის დაწყება<sup>17</sup>.

თუმცა, არსებობს მეორე მოსაზრება, რომელიც გაუპატიურებას უშედეგო, ფორმალურ შემადგენლობებს მიაკუთვნებს<sup>18</sup>. აღნიშნული მოსაზრება საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ გაუპატიურების შემადგენლობაში კანონმდებელი აღწერს დასჯად

<sup>13</sup> Roxin C., Greco L., Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 5. Auflage, 2020, §11 Rn. 147; Heinrich B., AT, 6. Aufl., Stuttgart, 2019, 58, Rn. 161; Satzger H., Die Anwendung des deutschen Strafrechts auf grenzüberschreitende Gefährungsdelikte, NStZ 1998, 114.

<sup>14</sup> უგრეხელიძე მ., სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა (ლეგიმეტრიის შესავლისათვის), ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, თბ., 2016, 49.

<sup>15</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 53.

<sup>16</sup> ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016, 154; გეგელია თ. წიგნი: გეგელია თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ., სქესობრივი დანაშაულები, თბ., 2020, 28.

<sup>17</sup> თოდუა ნ. წიგნი: ლეკვიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, მე-7 გამოც., თბ., 2019, 238.

<sup>18</sup> გოთუა ზ., პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის, თბ., 1994, 7; მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., წიგნი: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-3 გამოც., თბ., 2018, 272; დვალიძე ი., წიგნი: ნაჭყებია გ., დვალიძე ი. (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, 172; წულაია ზ., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი I, თბ., 2000, 179; Журавлев М.П., Никулин С.И. (Ред.), Уголовное право, Общая и Особенная части, 2-е издание, М., 2008, 382.

ქმედებას ისე, რომ შედეგზე არ მიუთითებს, რაც ფორმალური შემადგენლობებისთვის არის დამახასიათებელი.

თუ გაუპატიურებას შედეგიან დანაშაულად მივიჩნევთ იმის გამო, რომ ის ლახავს სქესობრივ თავისუფლებას, მაშინ შედეგიან დანაშაულად უნდა განვიხილოთ თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143-ე მუხ.) და მძევლად ხელში ჩაგდება (144-ე მუხ.), ვინაიდან დასახელებული დანაშაულებიც ლახავენ დაზარალებულის თავისუფლებას. განსხვავება იმაშია, რომ გაუპატიურება სქესობრივ (მაშასადამე, სხვა სახის) თავისუფლებას ლახავს. არც ის იძლევა გაუპატიურების შედეგიანი დანაშაულებისთვის მიკუთვნების საფუძველს, რომ გაუპატიურებას აქვს მცდელობის სტადია, ვინაიდან ფორმალურ დანაშაულსაც შეიძლება ჰქონდეს მცდელობის სტადია. რაც შეეხება პატივის და ღირსების შელახვას, როგორც შედეგს, მას ინვეეს არა მხოლოდ გაუპატიურება, არამედ გაუპატიურების მცდელობაც. მაგალითად, როცა დამნაშავე მსხვერპლს გაკოჭავს და ტანისამოსს გახდის ძალით სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ დაზარალებულის პატივი და ღირსება არ არის დარღვეული, როცა საქმე ეხება ძალადობას სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით, მიუხედავად იმისა, შეძლო თუ არა დამნაშავემ დაზარალებულთან სქესობრივი კავშირის დამყარება. შედეგიან დანაშაულებში კონკრეტული შედეგის დადგომა დანაშაულის დასრულებას უკავშირდება, რომლის არდადგომა დანაშაულის დაუსრულებლობაზე მიუთითებს. იმიტომ არის მნიშვნელოვანი იმის გარკვევა, არის თუ არა კონკრეტული დანაშაული შედეგიანი და რა სახის შედეგის დადგომას ინვეეს, რომ შედეგის განუხორციელებლობა გამოირიცხავს პასუხისმგებლობას დამთავრებული დანაშაულისთვის. პატივის და ღირსების შელახვა ვერ იქნება ასეთ შედეგად მიჩნეული, ვინაიდან მას გაუპატიურების მცდელობაც ინვეეს. თუ პატივის და ღირსების შელახვის გამო მივიჩნევდით გაუპატიურებას შედეგიან დანაშაულად, სასამართლოს ქმედების დამთავრებულ დანაშაულად კვალიფიკაციისთვის მოუნევდა იმის მტკიცება, რომ განხორციელებულმა ქმედებამ დაზარალებულის პატივის და ღირსების შელახვა გამოიწვია, რაც უხერხულობას შექმნიდა. როცა საქმე ეხება ძალადობის გამოყენებით სქესობრივი კავშირის დამყარებას ან თუნდაც მის მცდელობას, ისედაც ცხადია, რომ დაზარალებულის პატივი და ღირსება შელახულია. ეს არ არის ის „შედეგი“, რომლითაც შეიძლება ერთმანეთისგან გაიმიჯნოს გაუპატიურება და გაუპატიურების მცდელობა.

ხომ არ შეიძლება გაუპატიურების შედეგად მივიჩნიოთ ის, რომ მსხვერპლი ითმენს სქესობრივი შინაარსის ქმედებებს? აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. თუ გაუპატიურების დროს დანაშაულებრივ შედეგად ჩავთვლით მსხვერპლის მიერ დამნაშავის დანაშაულებრივი ქმედების, ზემოქმედების თმენას, მაშინ შედეგიან დანაშაულად უნდა განვიხილოთ თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143-ე მუხ.), მძევლად ხელში ჩაგდება (144-ე მუხ.), ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევებშიც განიცდის მსხვერპლი დამნაშავის დანაშაულებრივ ზემოქმედებას, რომლის თმენაც უნევს.

თუ გაუპატიურებას შედეგიან დანაშაულად, ხოლო შედეგად მსხვერპლის მხრიდან არასასურველი სქესობრივი შინაარსის ქმედების თმენას ჩავთვლიდით, მოსამართლეს უნდა დაედგინა მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის და უნდა ემტკიცე-

ბინა: რომ არა დანაშაულებრივი ქმედება, კონკრეტული შედეგი არ დადგებოდაო. თუმცა, ასეთი მიზეზობრივი კავშირი არ დგინდება შესაბამისი მუხლით ქმედების დასაკვალიფიცირებლად, ვინაიდან იგი ყოველგვარ აზრს მოკლებულია. გაუპატიურების მუხლით ქმედების დასაკვალიფიცირებლად უნდა დადგინდეს სქესობრივი კავშირი იყო თუ არა განხორციელებული მეორე მხარის ნების საწინააღმდეგოდ. ამის დადგენა მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, იყო თუ არა სახეზე ძალადობა, თუ ადგილი ჰქონდა ძალადობის იმიტაციას. თუ დადგინდა, რომ სქესობრივი კავშირი მეორე მხარის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელდა, ამით ავტომატურად დგინდება ისიც, რომ სახეზეა დაზარალებული, რომელსაც უწევდა მასზე განხორციელებული ქმედების თმენა. შეუძლებელია ადამიანზე (არამორჩენებითი) ძალადობითი ქმედება ხორციელდებოდეს და არ უწევდეს მასზე განხორციელებული ძალადობის თმენა.

გაუპატიურება ფორმალური, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია. მიუხედავად იმისა, რომ გაუპატიურება ლახავს მსხვერპლის სქესობრივ თავისუფლებას, პატივს და ღირსებას, მაინც შედეგარეშე დანაშაულთან გვაქვს საქმე. დასახელებული შედეგი შედეგია ფორმალური გაგებით. შედეგის ფორმალური გაგებით უშედეგო დანაშაული არც არსებობს, ვინაიდან ნებისმიერი დანაშაული იწვევს განსაზღვრულ შედეგს<sup>19</sup>. როდესაც ერთმანეთისგან იმიჯნება შედეგიანი და უშედეგო დანაშაული, მხედველობაშია შედეგი მატერიალური გაგებით, რაც დანაშაულებრივი ქმედებისგან შეიძლება გამოიყოს და იგი ყოველთვის არ მოსდევს დამნაშავის ქმედებას. უფლების დარღვევა იმიტომ ვერ იქნება განხილული შედეგად მატერიალური გაგებით, რომ უფლება ფორმალურ-იურიდიული კატეგორიაა, რომელიც ადამიანს იცავს ყველანაირი დანაშაულებრივი ქმედებისგან და რომლის დარღვევასაც ადგილი აქვს არა მხოლოდ შედეგიანი, არამედ ასევე უშედეგო ე. წ. ფორმალური დანაშაულების განხორციელების დროსაც. უფლება ადამიანს იცავს სამართლებრივი სიკეთის არა მხოლოდ ხელყოფისგან, არამედ ხელყოფის საფრთხის შექმნისგანაც.

### 3. დანაშაულის ჩადენის ადგილი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, აბსტრაქტული საფრთხე არის არა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი, არამედ ქმედების თვისება, ქმედების შემადგენლობის შექმნის საკანონმდებლო მოტივი და ალბათობა კონკრეტული საფრთხის შექმნისა<sup>20</sup>.

გაბატონებული შეხედულების მიხედვით, აბსტრაქტული საფრთხე არ განიხილება ისეთ საფრთხედ, რომელიც ქმედებისგან შეიძლება გაიმიჯნოს დროის და სივრცის მიხედვით. ამავდროულად მოსაზრებას იზიარებს მ. უგრეხელიძე, როცა აბსტრაქტულ საფრთხეზე, როგორც თეორიულ შესაძლებლობაზე მიუთითებს და გამორიცხავს როგორც არაპირდაპირი განზრახვის, ისე თვითიმედოვნების შესაძლებლობას აბსტრაქტული საფ-

<sup>19</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, 410.

<sup>20</sup> Cramer P., Der Vollrauschtatbestand als abstraktes Gefährdungsdelikt, 1962, 68-69.

რთხის დელიქტებში, იმ არგუმენტით, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროს სიტყვა „დაშვება“ გულისხმობს შედეგს<sup>21</sup> და არა ქმედების თვისებას.

თუმცა, ჩნდება კითხვა, აბსტრაქტული საფრთხე აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ყოველთვის წარმოადგენს ქმედების თვისებას, საფრთხეს, რომელიც ქმედებისგან არ იმიჯნება, თუ შესაძლოა აბსტრაქტული საფრთხე ცალკეულ შემთხვევებში გაიმიჯნოს ქმედებისგან, როგორც ერთგვარი „შედეგი“?

გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ვინაიდან აბსტრაქტული საფრთხე ყოველთვის მხოლოდ ქმედების თვისებად განიხილება, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის ჩადენის ადგილად მხოლოდ ქმედების განხორციელების ადგილი შეიძლება იქნას განხილული<sup>22</sup>. მართალია, სუყველგანობის თეორიის მიხედვით, რომელიც აერთიანებს ადრე გაბატონებულ ქმედების და შედეგის თეორიებს, დანაშაულის ჩადენის ადგილი არა მხოლოდ ქმედების ადგილია, არამედ დანაშაულებრივი შედეგის დადგომის ადგილიც<sup>23</sup>, მაგრამ იმისთვის, რომ დანაშაულის ადგილი მხოლოდ ქმედების ადგილით არ განისაზღვროს, შესაძლებელი უნდა იყოს საუბარი განხორციელებული ქმედებით შედეგის გამოწვევაზე და თან ისეთ ადგილას, რომელიც არ ემთხვევა ქმედების ადგილს.

ბოლო პერიოდში სისხლის სამართლის ლიტერატურაში განვითარდა შეხედულება, რომელიც გაბატონებული შეხედულებისგან განსხვავებით, აბსტრაქტულ საფრთხეს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგად განიხილავს<sup>24</sup> და უშვებს ქმედებისგან აბსტრაქტული საფრთხის გამიჯვნის შესაძლებლობას. ეს კი იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის ადგილი შედეგის ადგილითაც განისაზღვროს<sup>25</sup>.

გაბატონებული შეხედულებისგან განსხვავებული თანამედროვე შეხედულება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში დანაშაულის ჩადენის ადგილი არა მხოლოდ ქმედების ადგილით, არამედ იმ ადგილითაც განისაზღვროს, სადაც აბსტრაქტული საფრთხე შეიქმნა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიურ<sup>26</sup> და იმ დანაშაულებთან მიმართებით, რომელთა ჩადენაც შესაძლებელია თანამედროვე მედიასაშუალებების გამოყენებით. ასეთია მაგალითად, პორნოგრაფიული მასალის გავრცელება ინტერნეტის საშუალებით ან 317-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაუ-

<sup>21</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 16.

<sup>22</sup> Hilgendorf E., Überlegungen zur strafrechtlichen Interpretation des Ubiquitätsprinzips im Zeitalter des Internet, NJW, 1997, 1875; Satzger H., Die Anwendung des deutschen Strafrechts auf grenzüberschreitende Gefährdungsdelikte, NStZ 1998, 115. ასევე იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., დანაშაულის ჩადენის ადგილის პრობლემისათვის მედიის სისხლის სამართალში, წიგნში: აკაკი ლაბარტყავა 80, თბ., 2013, 230-241.

<sup>23</sup> Satzger H., Die Anwendung des deutschen Strafrechts auf grenzüberschreitende Gefährdungsdelikte, NStZ 1998, 113.

<sup>24</sup> BGH NStZ 1990, 37.

<sup>25</sup> Heinrich B., Der Erfolgsort beim abstrakten Gefährdungsdelikt, GA 1999, 79; Martin J., Strafbarkeit grenzüberschreitender Umweltbeeinträchtigungen, Zugleich ein Beitrag zur Gefährdungsdogmatik und zum Umweltvölkerrecht, Freiburg, 1989, 85.

<sup>26</sup> მოცემულ შემთხვევაში მხედველობაშია მდინარის დაბინძურების შემთხვევა, როცა წყლის დაბინძურების შედეგად საფრთხე იქმნება სხვა სახელმწიფოშიც. Tiedemann K., Kindhäuser U., Umweltstrafrecht-Bewährung oder Reform?, NStZ 1988, 346.

ლი – მონოდება სახელმწიფო წყობილების ძალადობით შეცვლისკენ. სახელმწიფო წყობილების ძალადობით შეცვლასთან დაკავშირებით მონოდება შეიძლება სხვა სახელმწიფოდან განხორციელდეს, როცა მომწოდებელი ფიზიკურად ქვეყნის შიგნით არ იმყოფება. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებულმა ქმედებამ კი საფრთხე შეიძლება ქვეყნის შიგნით შექმნას. თუ დანაშაულის ჩადენის ადგილად მხოლოდ ქმედების განხორციელების ადგილს ჩავთვლით, ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას მართლწესრიგის ეფექტურად დაცვას და მართლმსაჯულების განხორციელებას, ვინაიდან საზღვარგარეთ განხორციელებულ დანაშაულთა დასჯადობა დანაშაულის სიმძიმესაც უკავშირდება (სსკ-ის მე-5 მუხ.). გარდა ამისა, სხვა ქვეყნის კანონმდებლობით შეიძლება არც იყოს გათვალისწინებული ზოგიერთი ქმედებისთვის პასუხისმგებლობა. როცა საქმე ეხება სახელმწიფო წყობილების ძალადობით შეცვლისკენ მონოდებას და მის დასჯადობას ქართული კანონმდებლობით, მხედველობაში მიიღება ისიც, თუ რომელი ქვეყნის სახელმწიფო წყობილებაზეა საუბარი, ვინაიდან ასეთ მითითებას მკაფიოდ შეიცავს 317-ე მუხლის დისპოზიცია. ანალოგიურად შეიძლება იყოს ფორმულირებული სხვა ქვეყნის სსკ-ის შესაბამისი მუხლიც, ვინაიდან როცა საქმე ეხება არა ადამიანური სიკეთეების, არამედ სახელმწიფო ინტერესების დაცვას, ნებისმიერი სახელმწიფოსთვის უმთავრესი არა სხვა სახელმწიფოს, არამედ საკუთარი სახელმწიფო ინტერესების დაცვაა, რაც ლოგიკურიც არის. როდესაც საქმე ეხება მედიასაშუალებების გამოყენებით გარკვეული ქმედების განხორციელებას, მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების დადგენა, არამედ ასევე სუბიექტური მომენტის გათვალისწინება და იმის დადგენა, თუ რამდენად აცნობიერებდა მოქმედი პირი მისი ქმედების მნიშვნელობას, როგორი სუბიექტური დამოკიდებულება ჰქონდა ობიექტური შემადგენლობით გათვალისწინებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

მიუხედავად ზოგიერთ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტში ქმედებისგან აბსტრაქტული საფრთხის გამიჯვნის შესაძლებლობისა და აბსტრაქტული საფრთხის ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ „შედეგად“ მიჩნევისა, აქ საქმე არ ეხება ისეთ „შედეგს“, რომელიც არის იმ შედეგის ექვივალენტური, რომლითაც ხდება შედეგის და უშედეგო დელიქტების ერთმანეთისგან გამიჯვნა. შესაბამისად, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები საბოლოოდ მაინც უშედეგო დანაშაულად უნდა განვიხილოთ, სადაც არ ხდება მიზეზობრივი კავშირის დადგენა.

#### 4. განზრახვა საფრთხის დელიქტებში

განზრახვა და გაუფრთხილებლობა საფრთხის დელიქტებში მ. უგრეხელიძის მონოგრაფიულ ნაშრომში, რომელიც საფრთხის დელიქტებს მიეძღვნა, მთავარ კვლევის საგანს წარმოადგენს, რომელშიც ავტორი აანალიზებს იმას, თუ რამდენად შესაძლებელია საფრთხის დელიქტებში განზრახვის და გაუფრთხილებლობის თითოეული ნაირსახეობა.

როგორც თანამედროვე, ისე წინამორბედი ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა, არაერთი ქვეყნის სისხლის სამართლის მსგავსად, განზრახვის ორ საკანონმდებლო სახეს იცნობს: ესენია პირდაპირი და არაპირდაპირი ანუ როგორც მას სხვაგვარ



რად უწოდებენ – ევენტუალური განზრახვა. განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრებაში კანონმდებელი ყურადღებას მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი დამოკიდებულებაზე ამახვილებს, მაგრამ არაფერს ამბობს სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაზე. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, როგორ შეესაბამება განზრახვის საკანონმდებლო სახეების განსაზღვრებას საფრთხის დელიქტების სპეციფიკა?

კონკრეტული საფრთხის დელიქტები გულისხმობენ სამართლებრივი სიკეთისთვის კონკრეტული, რეალური საფრთხის შექმნას, სამართლებრივი სიკეთის ჩაყენებას საშიშ მდგომარეობაში. მ. უგრეხელიძის მართებული მოსაზრებით, ასეთ დელიქტებში მოქმედ პირს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედება საფრთხეში აგდებს სამართლებრივ სიკეთეს. ხოლო ნებელობის მხრივ, უნდა სურდეს საფრთხის შექმნა. შესაბამისად, განზრახვის იმ კომპონენტში, სადაც საუბარია მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებასა და გამონვევის სურვილზე, შეიძლება იგულისხმებოდეს სიკეთისთვის რეალური საფრთხის შექმნა<sup>27</sup>.

მ. უგრეხელიძეს პრობლემურად არ მიაჩნია პირდაპირი განზრახვის მისადაგება როგორც კონკრეტული, ისე აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებისთვის. ის არ ეთანხმება იმ ავტორებს, რომლებიც თვლიან, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, როგორც ფორმალურ შემადგენლობებში, არ უნდა მოხდეს პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვის განსხვავება, რაც მათი აზრით ზედმეტი და შეუძლებელია. მ. უგრეხელიძის თვალსაზრისით, არ არსებობს განზრახი დანაშაული, რომლის სუბიექტური შემადგენლობა არც პირდაპირი განზრახვით გამოიხატება და არც არაპირდაპირი განზრახვით. თუმცა, იქვე უთითებს იმას, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში არაპირდაპირ განზრახვაზე საუბარი საკამათოა, მაგრამ ეს არ ქმნის საფუძველს პირდაპირი განზრახვის უარყოფისთვის. თუ შედეგიან დელიქტებში საუბარია შედეგისადმი დამოკიდებულებაზე ცოდნის და სურვილის თვალსაზრისით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ასეთი მიმართება მოქმედ პირს შეიძლება ჰქონდეს საკუთრივ ქმედების მიმართ, ადამიანის ნებელობის უშუალო საგანს ქმედება წარმოადგენს<sup>28</sup>. ნებელობითი ელემენტის მისადაგება ქმედების განხორციელების ფაქტთან, მ. უგრეხელიძის თქმით, განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრებას არ ეწინააღმდეგება<sup>29</sup>.

მაშინ როდესაც კონკრეტული საფრთხის დელიქტებში განზრახვის საკითხი ნაკლებ საკამათოა, იგივეს თქმა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებზე შეუძლებელია. თუ ავტორთა ერთი ნაწილი უშვებს არაპირდაპირი განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების განხორციელების შესაძლებლობას, მ. უგრეხელიძეს ეს წარმოუდგენლად მიაჩნია<sup>30</sup>.

ვ. მაყაშვილი აღნიშნავდა, რომ განზრახვა სახეზეა, როცა ქმედების ჩამდენი სუბიექტი ან დარწმუნებულია, რომ ეს ქმედება ხასიათდება საშიში თვისებებით, ან კიდევ,

<sup>27</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 13.

<sup>28</sup> ანალოგიური მოსაზრებაა გამოთქმული გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში, სადაც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში განზრახვა და გაუფრთხილებლობა არ დგინდება აბსტრაქტული საფრთხის მიმართ, ვინაიდან მას არ მიიჩნევენ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ ნიშნად. Hilgendorf E. in: Arzt G., Weber U., Heinrich B., Hilgendorf E., Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Auflage, 2021, 922, § 35. Rn. 99.

<sup>29</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 14.

<sup>30</sup> იქვე, 15.

თუმცა ეჭვობს, მაგრამ წარმოდგენილი აქვს მათი არსებობის შესაძლებლობა (ევენტუალური განზრახვა). ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირი უშვებს, რომ სჩადის გარკვეული ხასიათის ქმედობას<sup>31</sup>. თუმცა, გამოთქმულ მოსაზრებას არ ეთანხმება მ. უგრეხელიძე და მიუთითებს, რომ სიტყვა „დაშვება“ გარკვეული ფსიქოლოგიური შინაარსით დატვირთული ტერმინია, რომელიც გამოიყენება ადამიანის ნებელობითი დამოკიდებულების გამოსახატავად მის მიერ ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი<sup>32</sup>. ნათქვამის დასადასტურებლად ავტორი განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრებაზე უთითებს და აღნიშნავს, რომ „დაშვება“ მიზეზობრიობის პროცესს გულისხმობს, სადაც საქმე მავნე შედეგის დადგომას შეეხება. შესაბამისად, გაუმართლებლად მიაჩნია საუბარი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ან მისი განსაზღვრული თვისებების დაშვების შესახებ. აღნიშნული, მოქმედმა პირმა, მხოლოდ შეიძლება იცოდეს ან არ იცოდეს, ჰქონდეს შეგნებული ან არ ჰქონდეს შეგნებული<sup>33</sup>.

აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში არაპირდაპირი განზრახვის გამორიცხვა, მ. უგრეხელიძის შეხედულებით, არ ნიშნავს იმას, რომ ევენტუალური განზრახვის აგება შეუძლებელია კონკრეტული საფრთხის დელიქტებშიც. ამ ტიპის დელიქტებში კონკრეტული საფრთხე ისეთივე ელემენტია, როგორც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის სახით რეალურად დამდგარი შედეგი. სავსებით დასაშვებია, რომ მოქმედ პირს შეგნებული ჰქონდეს კონკრეტული საფრთხის დელიქტის ფაქტობრივი (ქმედება, საფრთხე, მიზეზობრივი კავშირი) და სოციალურ-შეფასებითი (სოციალური საშიშროება) ნიშნები, არ სურდეს საფრთხის შექმნა, მაგრამ უშვებდეს, ურიგდებოდეს, რომ განხორციელებულმა ქმედებამ შეიძლება შექმნას კონკრეტული საფრთხე და შეიქმნას სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის რეალური შესაძლებლობა<sup>34</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედებით შექმნილი საფრთხე, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, განხორციელებულ ქმედებას ერწყმის და მართლაც პრაქტიკაში რეალურად რთული წარმოსადგენია ევენტუალური განზრახვის შესაძლებლობა, საკამათოდ უნდა მივიჩნიოთ არაპირდაპირი განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის განხორციელების შესაძლებლობის გენერალური გამორიცხვა. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვის დაშ-

<sup>31</sup> გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც არ გამორიცხავენ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის არაპირდაპირი განზრახვით განხორციელების შესაძლებლობას. მაგალითად, გერმანიის სსკ-ის 315d პარაგრაფის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებასთან მიმართებით – აკრძალულია ვტორბოლა. *Lackner K., Kühl K., Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Auflage, 2018, §315d Rn. 6.* თუმცა, მიუთითებენ იმასაც, რომ დამნაშავეს არაპირდაპირი განზრახვით დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს ქმედების აკრძალვასთან დაკავშირებით. ხოლო რაც შეეხება თვითონ შემადგენლობით გათვალისწინებულ ქმედებას (ავტორბოლის ჩატარება, მასში მონაწილეობა), არაპირდაპირი განზრახვით პრაქტიკულად რთული წარმოსადგენია. *Fischer T., Strafgesetzbuch, Kommentar, 68. Auflage, 2021, §315d Rn. 19; Pegel Ch. in: Münchener Kommentar, Strafgesetzbuch, 3. Auflage, 2019, §315d Rn. 27.* ხოლო ზოგიერთ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტთან მიმართებით მხოლოდ პირდაპირი განზრახვით მოქმედებას უშვებენ და უარყოფენ არაპირდაპირი განზრახვის შესაძლებლობას დანაშაულის ბუნების და ქმედების შემადგენლობის, ნორმის დისპოზიციის გათვალისწინებით. *Fischer T., Strafgesetzbuch, Kommentar, 68. Auflage, 2021, §323b, Rn. 4.*

<sup>32</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 16.

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> იქვე, 17.

ვება აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ ზოგიერთი ტიპის აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, როგორც უკვე ითქვა, არ გამოორიცხავს ქმედებისგან აბსტრაქტული საფრთხის გამიჯვნის შესაძლებლობას, რაც იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ მოქმედი პირი თავისი ქმედების შედეგად არა მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, არამედ გარკვეულ დროს და ადგილას აბსტრაქტული საფრთხის შექმნასაც შეიძლება უშვებდეს.

## **5. გაუფრთხილებლობა საფრთხის დელიქტებში**

მ. უგრეხელიძის კვლევის ობიექტს წარმოადგენს როგორც განზრახვა, ისე გაუფრთხილებლობა საფრთხის დელიქტებში და განიხილავს გაუფრთხილებლობის აგების და საფრთხის დელიქტების სპეციფიკისთვის მისადაგების საკითხს. კვლევის შედეგად მიდის დასკვნამდე, რომ თვითიმედოვნებით არა მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფი, არამედ კონკრეტული საფრთხის დელიქტების განხორციელებაც არის შესაძლებელი. თვითიმედოვნებით კონკრეტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისას მოქმედი პირი ითვალისწინებს, რომ თავისი ქმედებით ქმნის რეალურ საფრთხეს, მაგრამ ქარაფშუტულად არის დარწმუნებული, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს საპირისპირო გამანეიტრალებელი ძალები, რომლებიც ხელს შეუშლიან საფრთხის წარმოშობას<sup>35</sup>.

მაშინ როცა მ. უგრეხელიძე უშვებს თვითიმედოვნებას კონკრეტული საფრთხის დელიქტებში, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში იგი წარმოუდგენლად მიაჩნია. იგი აღნიშნავს, რომ თუ სუბიექტი ახორციელებს საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას, მას არ შეუძლია თუნდაც ქარაფშუტულად ივარაუდოს, რომ ქმედება დაჰკარგავს საშიშ ხასიათს. აღნიშნულ დასკვნამდე ავტორი მიდის იმის გათვალისწინებით, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედების საშიშროებას განიხილავს, არა როგორც ქმედებით შექმნილ შედეგს, არამედ როგორც ქმედების თვისებას<sup>36</sup>, რომელიც ქმედებისგან განუყოფელია. შესაბამისად, საშიში თვისებების ქმედების განხორციელებისას, არ რჩება ადგილი ვარაუდისთვის, რომ ქმედება გარკვეულ მომენტში დაკარგავს თავის თვისებას.

მოსაზრება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში თვითიმედოვნების უარყოფასთან დაკავშირებით საკამათოა<sup>37</sup> მოქმედი სსკ-ის გათვალისწინებით, სადაც გვხვდება ფორმალური შემადგენლობები, რომლებიც მხოლოდ გაუფრთხილებლობით ხორციელდება და რის შესახებაც მკაფიოდ არის მითითებული შესაბამის შემადგენლობებში. მხედველობაშია სსკ-ის 241-ე და 242-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობები, სადაც საუბარია საზიანო შედეგის გამონვევის შესაძლებლობის შექმნაზე და მიეკუთვნებიან აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობას, აბსტრაქტულ-კონკრეტულ საფრთხის დელიქტებს.

თვითიმედოვნებისგან განსხვავებით, დაუდევრობის შესაძლებლობას, მ. უგრეხელიძე, როგორც კონკრეტული, ისე აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში არ გამოორიცხ-

<sup>35</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 24.

<sup>36</sup> იქვე, 25, 29.

<sup>37</sup> ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, 155-156.

ავს<sup>38</sup>. დაუდევრობით კონკრეტული საფრთხის დელიქტის განხორციელებისას სუბიექტი არ ითვალისწინებს თავისი ქმედებით კონკრეტული საფრთხის შექმნას სამართლით დაცული ობიექტისათვის, თუმცა მოვალე იყო და შეეძლო ამის გათვალისწინება. ამ თვალსაზრისით, ავტორი კონკრეტული საფრთხის დელიქტებსა და შედეგიან დელიქტებს შორის სრული ანალოგიის არსებობაზე მიუთითებს<sup>39</sup>.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში აზრთა სხვაობა არსებობს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში არა მხოლოდ თვითიმედოვნებაზე, არამედ დაუდევრობაზეც. ერთ-ერთი მოსაზრებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების განხორციელება მხოლოდ განზრახ არის შესაძლებელი<sup>40</sup>. თუმცა, აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები შეიძლება განხორციელდეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით<sup>41</sup>. აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების ზემოთ დასახელებული შემადგენლობები ნათელყოფს უშედეგო, ფორმალურ შემადგენლობებში როგორც თვითიმედოვნების, ისე დაუდევრობის შესაძლებლობას.

რაც მეტად საინტერესოა, მ. უგრეხელიძის თვალსაზრისით, არა მხოლოდ თვითიმედოვნებისთვის, არამედ დაუდევრობისთვისაც არ არის გამორიცხული ისეთი კომბინაცია, როცა მოქმედ პირს გაცნობიერებული აქვს, რომ არღვევს წინდახედულობის გარკვეულ ნესებს და იცის, რომ ამით ზრდის რისკს. ასეთ დროს, თუ საქმე ეხება დაუდევრობით კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების განხორციელებას, შეიძლება მოქმედ პირს არ ესმოდეს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ქმნის ხელყოფის რეალურ შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონსტრუქცია უმთავრესად თვითიმედონებას ახასიათებს, ავტორის თქმით, არც დაუდევრობისთვისაა უცხო. მას პრობლემურად მიიჩნევს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, მაგრამ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებულ შემადგენლობათა გათვალისწინებით, საბოლოოდ მაინც არ გამორიცხავს დაუდევრობის შესაძლებლობას აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებშიც<sup>42</sup>.

დაუდევრობა შედეგიან დელიქტებში გულისხმობს მოსალოდნელი საზიანო შედეგის გაუთვალისწინებლობას, მაგრამ ვინაიდან აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში საქმე უშედეგო, ფორმალურ დელიქტებს ეხება, სადაც შედეგი და მიზეზობრივი კავშირი არ არის ობიექტური შემადგენლობის ნიშნები, მ. უგრეხელიძის თქმით, უნდა ვისაუბროთ არა საზიანო შედეგის გაუთვალისწინებლობაზე, არამედ საზოგადოებრივად საშიში ქმედების გაუცნობიერებლობაზე<sup>43</sup>.

მ. უგრეხელიძის თვალსაზრისით, მართლწინააღმდეგობისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხი დაუდევრობის დროს ისევე გადაწყდება, როგორც თვითიმედოვნების.

<sup>38</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 31-34.

<sup>39</sup> იქვე, 31-32.

<sup>40</sup> თოდუა ნ., საფრთხისშემქმნელ იდენაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, №2/3, 154; მამულაშვილი გ. წიგნში: ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-5 გამოც., თბ., 2014, 149.

<sup>41</sup> Hilgendorf E. in: Arzt G., Weber U., Heinrich B., Hilgendorf E., Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Auflage, 2021, 922, § 35. Rn. 99.

<sup>42</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 32-33.

<sup>43</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 36; Угрехелидзе М., Проблема неосторожной вины в уголовном праве, Тб., 1976, 102-103.

ნებისას<sup>44</sup>, რაც საკამათოდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან დაუდევრობის დროს, საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება. იქ სადაც წინდახედულობის ნორმის დარღვევა არ არის გაცნობიერებული, შეუძლებელია გაცნობიერებული იყოს ქმედების მართლწინააღმდეგობა. ამავე მუხლის თანახმად, თვითიმედოვნების დროს მოქმედ პირს გაცნობიერებული აქვს წინდახედულობის ნორმას რომ არღვევს. სწორედ ეს არის ერთ-ერთი არსებითი განმასხვავებელი ნიშანი თვითიმედოვნებასა და დაუდევრობას შორის. შესაბამისად, გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს მართლწინააღმდეგობისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით თვითიმედოვნების და დაუდევრობის დროს ანალოგიურ მდგომარეობაზე საუბარი.

მ. უგრეხელიძე თვლის, რომ გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობა რეალური შედეგის განხორციელებას მოითხოვს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის სახით, რის გამოც რეალურ ცხოვრებაში დაუსჯელი რჩება არაერთი ისეთი კონკრეტული საფრთხის შემქმნელი ქმედება, რომელიც გაუფრთხილებლობითაა განხორციელებული. აღნიშნული ხარვეზის შესავსებად მას მიზანშეწონილად მიაჩნია კონკრეტული საფრთხის გვარეობითი შემადგენლობის შემოტანა სსკ-ში, რომლითაც დასჯადი იქნება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით<sup>45</sup>. მოქმედი სსკ-ის 127-ე მუხლით დასჯადია „სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენება, ვისაც შესაძლებლობა არა აქვს, მიიღოს ზომები თავის დასაცავად“. კანონმდებელი მართალია არ უთითებს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებზე, განზრახვაზე ან გაუფრთხილებლობაზე, მაგრამ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილზე დაყრდნობით კეთდება დასკვნა, რომ აღნიშნული დანაშაული განზრახვით, სწორედ იმიტომ, რომ კანონმდებელი გაუფრთხილებლობაზე არ მიუთითებს, რასაც მოითხოვს გაუფრთხილებლობით დელიქტებთან მიმართებით.

დებულება, იმის შესახებ, რომ გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობა რეალური შედეგის განხორციელებას მოითხოვს, ვერ ჩაითვლება თანამედროვე სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მყოფად, ვინაიდან მოქმედი სსკ-ითვალისწინებს გაუფრთხილებლობით უშედეგო დელიქტთა შემადგენლობებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასეთი შემადგენლობანი არც ისე მრავალრიცხოვანია და გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობა უმეტეს შემთხვევაში დღესაც ქმედებით გამოწვეულ მართლწინააღმდეგო შედეგს ეფუძნება. ვინაიდან გაუფრთხილებლობითი დელიქტი, განზრახ დელიქტთან შედარებით, ნაკლები საშიშროებით და უმართლობის უფრო მსუბუქი ხარისხით ხასიათდება, კანონმდებელი გაუფრთხილებლობითი უშედეგო დელიქტის შემადგენლობებს მხოლოდ განსაკუთრებულ და იშვიათ შემთხვევაში აყალიბებს.

## **6. მიზნით დაფუძნებული საფრთხის დელიქტები**

მ. უგრეხელიძე ცალკე სახედ გამოყოფს მიზნით დაფუძნებულ საფრთხის დელიქტებს, რომლის თავისებურებად წარმოგვიდგენს იმას, რომ თუ საერთო წესისამებრ

<sup>44</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 38.

<sup>45</sup> იქვე, 40.

საფრთხის დელიქტებში თანაფარდობა არსებობს ქმედების შემადგენლობის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს შორის, მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში ადგილი აქვს დისპროპორციას სუბიექტური ნიშნების სასარგებლოდ. ამ კატეგორიის დელიქტებში დანაშაულებრივი შედეგი არ წარმოადგენს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშანს. ასეთ დელიქტად ავტორი მიიჩნევს ყაჩაღობას<sup>46</sup>, რომელიც გულისხმობს თავდასხმას, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რასაც თან ახლავს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა. ობიექტური შემადგენლობა ამოიწურება თავდასხმით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით. ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის შემადგენლობებში სხვისი ნივთის მისაკუთრება სცდება ობიექტურ შემადგენლობას. მისაკუთრება არის არა ობიექტური შემადგენლობის ნიშანი, რომელიც უნდა დადგინდეს როგორც რეალურად განხორციელებული შედეგი, არამედ წარმოადგენს გამიზნულ შედეგს, რომლის დადგენაც უნდა მოხდეს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ფარგლებში<sup>47</sup>.

მიზნით დაფუძნებულ დელიქტებს სხვაგვარად მომეტებული შინაგანი ტენდენციის დელიქტებს უწოდებენ. მიზნით დაფუძნებული დელიქტები მათ იმიტომ ეწოდებათ, რომ ამ ტიპის დელიქტებში ქმედების უმართლობას მიზანი აფუძნებს<sup>48</sup>. შესაბამისი მიზნის არარსებობა უმართლობას გამორიცხავს.

მ. უგრეხელიძე ყველა მიზნით დაფუძნებულ საფრთხის დელიქტს არ მიიჩნევს საფრთხის შემქმნელ დელიქტად, ფორმალურ, უშედეგო დანაშაულად და გამოყოფს შედეგიან მიზნით დაფუძნებულ დელიქტებსაც<sup>49</sup>.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში აზრთა სხვაობა არსებობს ისეთ მიზნით დაფუძნებულ დელიქტზე, როგორცია ქურდობა. თუ ერთი შეხედულებით ქურდობა შედეგიანი დანაშაულია და შედეგად განიხილავენ სხვისი მოძრავი ნივთის მფლობელობიდან გასვლას თუ საკუთრების უფლების ხელყოფას<sup>50</sup>, მეორე მოსაზრებით ქურდობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია<sup>51</sup>.

მიზნით დაფუძნებული დელიქტების ადგილი დელიქტთა კლასიფიკაციაში საკამათოა, რაც იმიტაც შეიძლება წარმოიჩინდეს, რომ მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში, როგორც უკვე ითქვა, ერთი მხრივ, გამიზნულ შედეგს არ განიხილავენ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნად, რომელიც დანაშაულის იურიდიულად განსაზოციე-

<sup>46</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 19; *Vzruxelidze M.*, Проблема неосторожной вины в уголовном праве, Тб., 1976, 101 (24-ე სქოლიო).

<sup>47</sup> *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 6. Aufl., Stuttgart, 2019, 57-58, Rn.160; *Krey V.*, *Esser R.*, Deutsches Strafrecht, AT, 6. Aufl., Stuttgart, 2016, 95, Rn. 220.

<sup>48</sup> მიზნით დაფუძნებულ უმართლობაზე იხ. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, 378.

<sup>49</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 20.

<sup>50</sup> *ლეკვიშვილი მ.*, *თოდუა ნ.* წიგნი: *ლეკვიშვილი მ.*, *მამულაშვილი გ.*, *თოდუა ნ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-7 გამოც., თბ., 2019, 471; *ჯიმკარიანი ბ.*, კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2015, 107.

<sup>51</sup> *ცკიტაშვილი თ.*, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნელი დელიქტები, თბ., 2015, 79 და მომდევნო; *Graul E.*, Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991, 133.

ლებლადაა საჭირო და მეორე მხრივ, გერმანულ სისხლის სამართალში თაღლითობას თვლიან შედეგიან დანაშაულად, სადაც შედეგად მიიჩნევა ქონებრივი ზიანი<sup>52</sup>.

თუ მიზნით დაფუძნებულ დელიქტებს დავყოფთ საფრთხის შემქმნელ და შედეგიან დელიქტებად, ჩნდება კითხვა, მხოლოდ ცალკეულ მიზნით დაფუძნებულ დელიქტებშია დარღვეული თანაფარდობა ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს შორის, თუ ეს ეხება მიზნით დაფუძნებულ დელიქტებს ზოგადად?

ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობას შორის დისპროპორცია დამახასიათებელია ზოგადად მიზნით დაფუძნებული დელიქტებისთვის, სადაც ზოგად კანონზომიერებად მიიჩნევა ის, რომ ქმედების ობიექტური შემადგენლობა განხორციელებულად, იურიდიულად დამთავრებულად მიიჩნევა დამნაშავის მიერ გამიზნული შედეგის მიღწევამდე, რომელიც ობიექტური შემადგენლობის მიღმაა.

მიზნით დაფუძნებული დელიქტების სუბიექტურ შემადგენლობაზე გარკვეულ მითითებას ვხვდებით ამ ტიპის დელიქტების სახელწოდებაშიც. თუმცა, ეს მითითება ეხება მხოლოდ მიზანს, როგორც სუბიექტურ ნიშანს და კონკრეტულად არაფერს გვეუბნება განზრახვაზე. ცხადია, რომ მიზნით დაფუძნებული დელიქტები მხოლოდ განზრახ ხორციელდება და გაუფრთხილებლობას გამორიცხავს, მაგრამ ჩნდება კითხვა, როგორი განზრახვით ხორციელდება, გამორიცხავს თუ არა არაპირდაპირ განზრახვას და ხომ არ მოითხოვს პირდაპირი განზრახვით მოქმედებას?

გერმანულ სისხლის სამართალში გამოთქმული შეხედულებით, არ გამოირიცხება არაპირდაპირი განზრახვით მიზნით დაფუძნებული დელიქტის განხორციელების შესაძლებლობა<sup>53</sup>, მიუხედავად იმისა, რომ მიზნით დაფუძნებული დელიქტებისთვის პირდაპირი განზრახვა ტიპურია.

მ. უგრეხელიძე მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში არაპირდაპირ განზრახვას გამორიცხავს და თვლის, რომ მიზნით დეტერმინირებულ ქმედებასთან არაპირდაპირი განზრახვა შეუთავსებელია. მიზნის ელემენტი მხოლოდ პირდაპირ განზრახვაზე მიუთითებს<sup>54</sup>. აზრი, რომ მიზნით დაფუძნებული დელიქტები მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება, ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებულად ითვლება.

როდესაც საუბარია განზრახვაზე, იგულისხმება ქმედების შემადგენლობის ნიშნებისადმი დამოკიდებულება. როგორც წესი, განზრახვის შემთხვევაში კანონმდებელს აინტერესებს იმ შედეგისადმი დამოკიდებულება, რომელიც ქმედების შემადგენლობას განეკუთვნება და არა ის, რომელიც შემადგენლობის მიღმაა. თუმცა, მ. უგრეხელიძე მიუთითებს, რომ ტიპური საფრთხის დელიქტებისგან განსხვავებით, მიზნით დაფუძნებულ საფრთხის დელიქტებში სუბიექტური დამოკიდებულება ვრცელდება იმ შედეგზეც, რომელიც არ წარმოადგენს ობიექტური შემადგენლობის ნიშანს, რაზეც მიუთითებს ის, რომ მიზნით დაფუძნებულ საფრთხის დელიქტებში კონსტიტუციურ ნიშნად მოიაზრება ობიექტური შემადგენლობის მიღმა მყოფი შედეგის განხორციელების მიზანი<sup>55</sup>.

<sup>52</sup> Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, 160, §7 Rn. 2-3; Tiedemann K. in: LeipzigerKommentar, 11. Auflage, §263 Rn. 3.

<sup>53</sup> Eisele J., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Auflage, Stuttgart 2019, 25, Rn. 60.

<sup>54</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 21.

<sup>55</sup> იქვე.

## 7. შედეგით კვალიფიცირებული საფრთხის დელიქტები

სისხლის სამართლის ლიტერატურაში შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებს ორ ჯგუფად ყოფენ: ნამდვილი და არანამდვილი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები. არანამდვილ შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მაკვალიფიცირებელი შედეგისადმი ისეთი სუბიექტური დამოკიდებულება არსებობს, როგორც ქმედებისადმი. ეს შეიძლება იყოს განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით<sup>56</sup>. შეიძლება განზრახვი შედეგი იყოს განზრახვი დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება (ასეთია ორი ან მეტი პირის მკვლელობა, 109-ე მუხ.) ან გაუფრთხილებლობითი შედეგი გაუფრთხილებლობითი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება (242-ე მუხ. მე-2 ნ.).

ნამდვილ (მატერიალური გაგებით) შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში, არანამდვილი (ფორმალური გაგებით) შედეგით კვალიფიცირებული დელიქტებისგან განსხვავებით, საქმე ეხება განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციას<sup>57</sup>, სადაც ქმედება განზრახვა განხორციელებული, ხოლო შედეგის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება იგულისხმება, რომელიც წარმოადგენს არა ქმედების ძირითადი შემადგენლობის ნიშანს, არამედ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, რომელიც ძირითადი შემადგენლობის განხორციელებით არის განპირობებული<sup>58</sup>.

მ. უგრეხელიძე, რომელიც განზრახვას და გაუფრთხილებლობას ბრალის ფორმებად მიიჩნევს, დელიქტების დასახელებულ ტიპს „ორმაგი ბრალის“ გამოხატულებად წარმოგვიდგენს. ასევე მიუთითებს ე. წ. „შერეული ბრალის“ შემთხვევაზეც<sup>59</sup>. თუმცა, იმ თვალსაზრისის მიხედვით, რომლის თანახმადაც განზრახვა და გაუფრთხილებლობა ქმედების შემადგენლობის ნიშნებია და არა ბრალის ფორმები, ტერმინი ორმაგი ბრალი თუ შერეული ბრალი არ წარმოადგენს შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის შესატყვის ტერმინს, ვინაიდან აქ საქმე ეხება ქმედების შემადგენლობას და კერძოდ კი, მის სუბიექტურ აგებულებას.

განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციით განსახორციელებელ თანამდევით შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტთა სუბიექტურ შემადგენლობაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ იგი წარმოადგენს სუბიექტური დამოკიდებულების დამოუკიდებელ, მესამე ფორმას, რომელიც განზრახვისა და გაუფრთხილებლობის უბრალო შერწყმას კი არ წარმოადგენს ერთი შემადგენლობის ფარგლებში, არამედ სუბიექტური დამოკიდებულების ისეთ თავისთავად ნაირსახეობას, რომელიც ასახავს ბრალის გარკვეულ ხარისხს დანაშაულის ჩადენაში. თუმცა, ამ მოსაზრებას არ იზიარებს მ. უგრეხელიძე, რომელიც თვლის, რომ ქმედებისა და შედეგისადმი დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით<sup>60</sup>.

<sup>56</sup> Gössel K., Dogmatische Überlegungen zur Teilnahme am erfolgsqualifizierten Delikt nach § 18 StGB, Lange-FS, Berlin, 1976, 222-223, 238-239.

<sup>57</sup> Hirsch H., Zur Problematik des erfolgsqualifizierten Delikts, GA 1972, 65.

<sup>58</sup> Rengier R., Erfolgsqualifizierte Delikte und verwandte Erscheinungsformen, Tübingen, 1986, 240.

<sup>59</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 41.

<sup>60</sup> იქვე, 43.



განზრახვა-გაუფრთხილებლობის კონბინაციასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საკამათო საკითხად მიიჩნევა ის, არის თუ არა იგი შესაძლებელი ქმედების ძირითადი შემადგენლობის ფარგლებში. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციით შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ შედეგით კვალიფიცირებული, არამედ ქმედების ძირითადი შემადგენლობაც კი<sup>61</sup>. ასეთ შემადგენლობად იქნა მიჩნეული სატრანსპორტო დანაშაულთა შემადგენლობები<sup>62</sup>, სადაც ქმედების ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი გაუფრთხილებლობითია, მაგრამ იმავე შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება შეგნებულად განხორციელებული.

აღნიშნული შეხედულება ერთმანეთთან აიგივებს შეგნებულ და განზრახ ქმედებას, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. განზრახი ქმედება შეგნებული ქმედებაა, მაგრამ ყველა შეგნებული ქმედება ვერ იქნება მიჩნეული განზრახ ქმედებად<sup>63</sup>.

მართებულად მიუთითებს მ. უგრეხელიძე, რომ „ძირითად შედეგიან შემადგენლობებში, სადაც დამატებით გათვალისწინებული არაა შემადგენლობის მაკვალიფიცირებელი შედეგი, შეუძლებელია ვილაპარაკოთ განზრახვაზე საკუთრივ ქმედების მიმართ და გაუფრთხილებლობაზე შედეგის მიმართ“<sup>64</sup>. ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ო. გამყრელიძე<sup>65</sup>.

იმისთვის რომ ქმედება განზრახ განხორციელებულად მივიჩნიოთ, როდესაც საქმე ეხება შედეგიან დელიქტს, აუცილებელია არა მხოლოდ ქმედება იყოს შეგნებულად განხორციელებული, არამედ ასევე შედეგისკენაც შეგნებულად წარმართული. გასათვალისწინებელია სსკ-ის მე-9 მუხლში მოცემული განზრახვის საკანონმდებლო სახეების განსაზღვრება, სადაც კანონმდებელი აქცენტს შედეგისადმი დამოკიდებულებაზე აკეთებს და იმაზე მიუთითებს, რომ ქმედება არის თუ არა განზრახ განხორციელებული, ვერ დადგინდება ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგისაგან მონყვევით.

თ. წერეთლის მართებული თვალსაზრისით, ე. წ. მატერიალურ დანაშაულებში არ შეიძლება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ცალკე დადგენა ქმედების მიმართ და ცალკე შედეგის მიმართ<sup>66</sup>. ეს მხოლოდ შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობებშია შესაძლებელი, სადაც ცალკე აღებული ქმედება, მაკვალიფიცირებელი შედეგისგან მონყვევით, ქმედების ძირითად შემადგენლობას აფუძნებს ყოველგვარი შედეგის დადგომის გარეშე ან უფრო მსუბუქ, სხვა ტიპის შედეგთან ერთად.

განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაცია მხოლოდ იქ უნდა ვეძიოთ, სადაც ერთი შემადგენლობიდან, მისი დანაწევრების შედეგად, შესაძლებელია ორი ან მეტი და-

<sup>61</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 603.

<sup>62</sup> ტყეშელიაძე გ., პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თბ., 1965, 21.

<sup>63</sup> ნაჭყეაძე გ., დანაშაული ბრალის ორი ფორმით, „სამართლის ჟურნალი“, 2009, №1, 29.

<sup>64</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 42; უგრეხელიძე მ., შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში, ჟურნ. „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, №1, 1971, 160-161; უგრეხელიძე მ., ბრალის შერეული ანუ ორმაგი ფორმის შესახებ, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №1, 1980, 33-34.

<sup>65</sup> გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, 2013, 312-313; გამყრელიძე ო., პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1966, №6, 85-86.

<sup>66</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, 44.

ნაშაულებრივი ქმედების შემადგენლობის მიღება<sup>67</sup>. თანამდევნი შედეგით კვალიფიცი-რებული დელიქტი რთულ, შენადგენ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება<sup>68</sup>. შენად-გენი დანაშაული რთული საკანონმდებლო წარმონაქმნია, რომელიც ორი დამოუკიდებე-ლი შემადგენლობისგან ყალიბდება. მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიან-ება, რამაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. აღნიშნული შემად-გენლობა წარმოადგენს ობიექტურ და სუბიექტურ ნიშანთა ისეთ ერთობლიობას, რომე-ლიც დამოუკიდებლად აღებული, უკვე ქმნის სხვა ნორმებით გათვალისწინებულ დანა-შაულს. პირველი – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების (117-ე მუხ. 1-ლი ნ.), მე-ორე – გაუფრთხილებლობის სიცოცხლის მოსპობის (116-ე მუხ.). კანონმდებელს რომ არ შეექმნა თანამდევნი შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის შემადგენლობა, შენად-გენი დანაშაულის თითოეული რგოლი ისედაც ქმნის დამოუკიდებელ შემადგენლობას და ქმედება დაკვალიფიცირდებოდა დანაშაულთა ერთობლიობის სახით, მაგრამ კანონ-მდებელმა სხვისი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება და სხვისი სიცოცხლის გა-უფრთხილებლობით მოსპობა ერთ შემადგენლობაში გააერთიანა და დანაშაულთა იდეა-ლური ერთობლიობის მოდელის მიხედვით სპეციალური საკანონმდებლო კონსტრუქცია შექმნა, რომელსაც გადიდებული საჯელი დაუკავშირა. როდესაც კანონმდებელმა შექ-მნა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ისეთი შემადგენლობა, რომელიც მაკვა-ლიფიცირებელ ნიშნად ითვალისწინებს დაზარალებულის სიცოცხლის გაუფრთხილებ-ლობით მოსპობას, სათვალავში იღებს იმას, რომ ჯანმრთელობის ასეთ დაზიანებას ცხოვრებაში ტიპურად მოსდევს დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა<sup>69</sup>.

როდესაც საქმე ეხება თანამდევნი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტს, ქმედე-ბის კვალიფიკაციის დროს სუბიექტური დამოკიდებულება ცალკე უნდა დადგინდეს ძი-რითადი შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების მიმართ და ცალკე მაკვალიფი-ცირებელი შედეგის მიმართ<sup>70</sup>.

შედეგით კვალიფიცირებულ შემადგენლობებს ჩვენ ვხვდებით როგორც სამარ-თლებრივი სიკეთის ხელმყოფ, ისე სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შემქმნელ დელიქტებში. კვალიფიცირებული შემადგენლობები გვხვდება როგორც აბსტრაქტული, ისე კონკრეტული საფრთხის დელიქტებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძირითადი შემად-გენლობის დამაფუძნებელი ქმედება გვხვდება როგორც აბსტრაქტული საფრთხის, ისე კონკრეტული საფრთხის დელიქტის სახით<sup>71</sup>.

შედეგით კვალიფიცირებული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებიდან აღსანიშ-ნავია: 130-ე მუხლის მე-2 ნაწილი (ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება, რამაც ავად-მყოფის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია); 133-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი (უკანონო აბორტი, რამაც შვილოსნობის სამუდამო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია, უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოს-პობა) და სხვა.

<sup>67</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 47.

<sup>68</sup> იქვე, 45.

<sup>69</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 46.

<sup>70</sup> იქვე, 46-47.

<sup>71</sup> იქვე, 49.

კვალიფიცირებული კონკრეტული საფრთხის დელიქტები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იშვიათად გვხვდება<sup>72</sup>. ასეთია 293-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა: ხმელეთიდან და საჰაერო ხომალდიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში უკანონოდ ჩაყრა (ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ ორგანიზმს, ანდა ხელს უშლის ზღვის მართლზომიერ გამოყენებას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

მ. უგრეხელიძის თვალსაზრისით, კვალიფიცირებული დელიქტები თავის მხრივ იყოფა შედეგით კვალიფიცირებულ და საფრთხით კვალიფიცირებულ შემადგენლობებად. ამ უკანასკნელ ჯგუფს იგი მიაკუთვნებს ისეთ შემადგენლობებს, სადაც მაკვალიფიცირებულ გარემოებას წარმოადგენს არა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის სახით განხორციელებული შედეგი, არამედ საფრთხე<sup>73</sup>. მაშასადამე, საფრთხე შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ქმედების ძირითადი შემადგენლობის, ისე კვალიფიცირებული შემადგენლობის ნიშანს. საფრთხის შექმნა მაკვალიფიცირებულ გარემოებად შეიძლება მოგვევლინოს როგორც სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფ, ისე საფრთხის შემქმნელ დელიქტებში.

საფრთხით კვალიფიცირებულ სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფ დელიქტებს მიეკუთვნება მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას (109-ე მუხ.). მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ამძიმებს დანაშაულის ჩადენის საშუალება, რომელიც სხვათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის არის საფრთხის შემქმნელი. ასეთ საშუალებათა რიცხვს განეკუთვნება ცეცხლსასროლი იარაღი, სანამლავი (როცა იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ მონამღული წყლით ან საკვებით სხვაც მოინამლოს) და სხვა.

საფრთხით კვალიფიცირებულ დელიქტთაგან აღსანიშნავია ასევე თავისუფლების უკანონო აღკვეთა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით (143-ე მუხ. მე-3 ნ. „ე“ პ.)<sup>74</sup>. ასეთ დროს საფრთხის შექმნის მიმართ დამნაშავე შეიძლება მოქმედებდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვის სახით<sup>75</sup>. თვითონ თავისუფლების უკანონო აღკვეთის მიმართ ქმედება შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი განზრახვით, ხოლო სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნასთან დაკავშირებით შესაძლებელია განზრახვა არსებობდეს ერთ-ერთი ფორმით. მოცემულ შემთხვევაში სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა პირდაპირი განზრახვით არ გულისხმობს პირდაპირ განზრახვას სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით, ვინაიდან სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის განზრახვა და სიცოცხლის ხელყოფის განზრახვა არ არის იდენტური<sup>76</sup>. თუ დამნაშავე მოქმედებს არა საფრთხის შექმნის, არამედ სიცოცხლის

<sup>72</sup> იქვე, 50.

<sup>73</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 54.

<sup>74</sup> იქვე, 55.

<sup>75</sup> იქვე, 56.

<sup>76</sup> Horn E., Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, 208.

ხელყოფის განზრახვით, სახეზე იქნება სხვა დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობა. მაგალითად, თუ მკვლელობის განხორციელებისას დამნაშავე მოქმედებს სხვა პირთა სიცოცხლისთვის არა საფრთხის შექმნის, არამედ სიცოცხლის ხელყოფის განზრახვით, სახეზე იქნება მკვლელობის მცდელობა, შესაბამისად, ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობა<sup>77</sup>.

## 8. მართლწინააღმდეგობა

როგორც ცნობილია, დანაშაულის ერთ-ერთ ნიშანს მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს. მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ავტორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ქმედება მთელი მართლწესრიგისთვის მართლზომიერია ან მართლწინააღმდეგობა<sup>78</sup>.

როგორც უკვე აღინიშნა, ერთ-ერთი მოსაზრებით, მართლწინააღმდეგობა დარგებად არ იყოფა. კ. ენგიში, რომელმაც თავის დროზე მართლწესრიგის ერთიანობას მონოგრაფიული ნარკვევი მიუძღვნა, აღნიშნავდა, რომ სამართლებრივი მოვალეობის დაფუძნება და უმართლობის გამორიცხვა ხდება ერთიანად. ერთიანი მართლწესრიგის<sup>79</sup>

<sup>77</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ. ნიგნში: ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, მე-7 გამოც., თბ., 2019, 50.

<sup>78</sup> გამყრელიძე ო., მართლწინააღმდეგობის ცნება და სისხლის სამართლის კანონი, ჟურნ. „ცხოვრება და კანონი“, 2013, №2 (17), 7; ტურავეა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 333; დვალიძე ი. ნიგნში: ნაჭყეაბია გ., დვალიძე ი. (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, 241; მალაქაძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), თბ., 2013, 75; მაისურაძე დ., მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპი და მისი ვაგება ქართულ ლიტერატურაში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, №2, 2021; Engisch K., Die Einheit der Rechtsordnung, 1987, 58; Roxin C., Greco L., Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 5. Auflage, 2020, §14 Rn. 32; Wessels J., Beulke W., Satzger H., Strafrecht, AT, Die Straftat und ihr Aufbau, 51. Aufl., Heidelberg, 2021, 134, Rn. 400; Rengier R., Strafrecht, AT, 13. Aufl., München, 2021, 140, §17 Rn. 3; Ebert U., Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, 74.

<sup>79</sup> ერთი მოსაზრებით, მართლწესრიგის ერთიანობას კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპად მიიჩნევენ, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს. თუმცა, არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებებიც, რაც აღნიშნულ საკითხზე აზრთა არაერთგვაროვნებას გულისხმობს. Felix D., Einheit der Rechtsordnung, Tübingen, 1998, 10-12. მიუხედავად მართლწესრიგის ერთიანობის კონსტიტუციურსამართლებრივი მნიშვნელობისა, პრობლემატურად განიხილავენ შემთხვევას, როდესაც განხორციელებული (იგულისხმება პოლიციელის) ქმედება სისხლის სამართალში აუცილებელი მოგერიების ნორმით გამართლებულად ითვლება, მაგრამ ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, საჯაროსამართლებრივად მართლწინააღმდეგოდ მიიჩნევა (დასახ. ნაშრ. გვ. 59). თუმცა, საკითხისადმი ასეთი მიდგომა დასახელებული ავტორის მიერ გაკრიტიკებულია სწორედ მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპთან მისი შეუსაბამობის გამო და აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ქმედება ერთდროულად მართლწინააღმდეგოდ იყოს და მართლზომიერიც (იქვე, გვ. 79). ავტორი ამავდროულად სამართლებრივად არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობასაც, რომ სისხლის სამართალმა შემწყნარებლური დამოკიდებულება გამოიჩინოს იმ ქმედების მიმართ, რომელიც სამოხელეო და საპოლიციო სამართალში გასაკიცხია. საკითხის ასეთ გადაწყვეტაში ის უშვებს იმ შეხედულებათა შერიგების შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენა ხდება დიფერენცირებულად და მეორე მხრივ, მართლწესრიგი მიიჩნევა ერთიანად. მაშასადამე, როგორც ავტორი დაასკვნის, მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით დიფერენცირებულ შეფასებას არ გამორიცხავს მართლ-

ცნების არსებობას დასაშვებად თვლიდა ფორმალური გაგებით, სადაც მართლწინააღმდეგობა არის სამართლის ნორმის დარღვევა. ერთიანი მართლწინააღმდეგობის პირობებში ენგში უშვებს სამართლის სხვადასხვა დარგში განსხვავებული სამართლებრივი შედეგების დადგომას. მაგალითად, სამოქალაქო სამართალში შეიძლება ზიანის ანაზღაურებას იწვევდეს ქმედება, რომელიც ენგში მოსაზრებით, არ არის მართლწინააღმდეგო სისხლის სამართალში და შესაბამისად, მთლიან მართლწინააღმდეგობაში<sup>80</sup>. მისი მოსაზრებით, იმის გამო, რომ ქმედება სამართლის სხვა დარგში იწვევს სამართლებრივ შედეგს, გამოგვერიცხა მთლიანი მართლწინააღმდეგობის წინაშე ქმედების გამართლების შესაძლებლობა, შეცდომა იქნებოდა.

ავტორთა მეორე ნაწილი მართლწინააღმდეგობას დარგებად ყოფს<sup>81</sup> და არ იზიარებს ერთიანი მართლწინააღმდეგობის იდეას. ზოგიერთი მეცნიერი, ერთიანი მართლწინააღმდეგობის ცნებას კონსტიტუციურსამართლებრივად არამდგრადად მიიჩნევს<sup>82</sup>.

მ. უგრეხელიძე მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით საფრთხის დელიქტებში გაუფრთხილებლობის აგების საკითხზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ გაუფრთხილებლობითი ქცევის მართლწინააღმდეგობის სტრუქტურა ორმაგ მართლწინააღმდეგობას გულისხმობს: ქცევის შეუსაბამობას წინდახედულობის ნორმებთან, რომელსაც პირველად მართლწინააღმდეგობას უწოდებს და, შემდეგ, მის შეუსაბამობას სისხლისსამართლებრივ ნორმებთან, რომელსაც ავტორი სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობად მოიხსენიებს<sup>83</sup>.

როგორც აღნიშნული მსჯელობიდან ირკვევა, ავტორი აღიარებს მართლწინააღმდეგობის დარგობრივ გაგებას და ემხრობა იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართალში ქმედების მართლწინააღმდეგობას სისხლისსამართლებრივ ნორმასთან ქმედების შეუსაბამობა აფუძნებს. მოსაზრება მართლწინააღმდეგობის დარგობრივ

---

წინააღმდეგობის ერთიანობა (გვ. 81). ავტორის მიერ გამოთქმული შეხედულებით, ერთიანი მართლწინააღმდეგობის პრინციპიდან გამომდინარე, სამოქალაქო-სამართლებრივად და საჯარო-სამართლებრივად მართლწინააღმდეგობის ქმედება სისხლისსამართალშიც მართლწინააღმდეგობად უნდა შეფასდეს, მაგრამ არა პირიქით (იქვე, გვ. 82). კონსტიტუციურად შეუძლებელია სისხლისსამართლებრივად დასჯადად გამოცხადდეს ისეთი ქმედება, რომელიც სამართლის სხვა დარგში მართლწინააღმდეგობაა (გვ. 217). სისხლის სამართალი დამოკიდებულია მთლიან მართლწინააღმდეგობაზე, შეუძლებელია ეწინააღმდეგებოდეს სამართლის სხვა დარგს (გვ. 217-218). თუმცა, არსებობს ცნებითი თავისუფლება, რაც იმას გულისხმობს, რომ არ კარგავს დამოუკიდებლობას ნორმები თვითონ ჩამოაყალიბოს (გვ. 218).

<sup>80</sup> „Rechtspflichtbegründungen und Unrechtsausschlüssen wirken sich allgemein aus“. *Engisch K.*, Die Einheit der Rechtsordnung, 1987, 58.

<sup>81</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, 103; შავგულიძე თ., სურგულაძე ლ., საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, 7; *Ткешелиაძე Г.*, Судебная практика и уголовный Закон, Тб., 1975, 51; ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2015, 305; თოდუა ნ., ნიგნში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ. (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-4 გამოც., თბ., 2019, 343-345; უგრეხელიძე მ., ფსიქიკური დამოკიდებულება მართლწინააღმდეგობისადმი გაუფრთხილებლობის დროს, ნიგნში: იურიდიული ძიებანი, თ. წერეთლის 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1977, 99-100. სამოქალაქო მართლწინააღმდეგობაზე იხ. რუსთაშვილი ჯ., მართლწინააღმდეგობის შინაარსი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1977, #1, 27-33.

<sup>82</sup> *Schmidt W.*, Der Ermessensrahmen bei der Versagung einer Strassenrechtlichen Sondernutzungserlaubnis, Neue Zeitschrift Für Verwaltungsrecht, 1985, 169.

<sup>83</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 29.

დაყოფასთან დაკავშირებით, რომელიც აღიარებს მართლწინააღმდეგობის სისხლისსამართლებრივ და არასისხლისსამართლებრივ გაგებას, გაზიარებულია გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც.

პ. კირხჰოფის თვალსაზრისით, რომელიც ემხრობა მართლწინააღმდეგობის დარღობრივ გაგებას, ერთიანი მართლწესრიგი არა მხოლოდ უშვებს, არამედ მოითხოვს კიდევ დიფერენცირებას საჯარო მოხელესა და მოქალაქის თავისუფლებას შორის. ერთიანი მართლწესრიგის პირობებში შეიძლება სამართლის დარგები საფეხურებრივად დაიყოს. მაგალითად, სისხლის სამართალი გულისხმობს ეთიკურ მინიმუმს, დისციპლინურ და ადმინისტრაციულ სამართალში კი მოხელეს უფრო მაღალი ნორმატიული მოთხოვნა წაეყენება<sup>84</sup>.

პ. კირხჰოფი აღნიშნავს, რომ მართლწესრიგის ერთიანობის უარყოფა შეუძლებელია, როცა საქმე ეხება სამართლის წყაროებს და მათ რანგს. მაგრამ, მართლწესრიგის შიგნით შესაძლებელია დიფერენცირება და გამიჯვნა მატერიალურსა და ფორმალურს შორის. აქედან გამომდინარე შესაძლებელია, რომ დისციპლინურსამართლებრივად ქმედება იყოს მართლწინააღმდეგო, მაგრამ არა სისხლისსამართლებრივად<sup>85</sup>.

კირხჰოფის შეხედულებით, სისხლისსამართლებრივ გამამართლებელ გარემოებებს შეუძლიათ გავლენის მოხდენა სისხლის სამართლის ფარგლებში. ისევე როგორც ქმედების შემადგენლობით ქმედების გაუთვალისწინებლობა (სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის არარსებობა) არ გულისხმობს პოლიციელის უფლებამოსილებას, ქმედება საპოლიციო სამართლით არ შეიძლება გამამართლებულად ჩაითვალოს იმის გამო, რომ სისხლისსამართლებრივი დასჯადობა გამოირიცხა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული გამამართლებელი გარემოების გამო. ეს კი იწვევს მართლწინააღმდეგობის დიფერენცირებას, რაც თითქოს საფრთხეს უქმნის მართლწესრიგის ერთიანობას, მაგრამ ეს საფრთხე არის მოჩვენებითი. კირხჰოფის თქმით, კონსტიტუცია, რომელიც მის შინაგან ერთიანობას გულისხმობს, მიჯვნავს ქმედებათა შეფასებას<sup>86</sup>.

კირხჰოფი გაკვირვებას გამოთქვამს იმ თეზასთან დაკავშირებით, რომ ქმედება ან მხოლოდ ნებადართული ან აკრძალული შეიძლება იყოს, ვინაიდან პოლიციელს საპოლიციო სამართლით შეიძლება აკრძალული ჰქონდეს ის, რასაც არ უკრძალავს სისხლის სამართალი. სისხლის სამართალი გასაკიცხ ქმედებას ყველაზე მაკცრ სანქციას უკავშირებს. სისხლის სამართალი მოითხოვს სამართლებრივ მინიმუმს თითოეული მოქალაქისგან<sup>87</sup>.

ჰ.ლ. გიუნთერის თვალსაზრისით, სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა და ზოგადი (ერთიანი) მართლწინააღმდეგობა არ ემთხვევა ერთმანეთს. პირველი წარმოადგენს მეორის კვალიფიციურულ ფორმას. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების განხორციელება სულაც არ ნიშნავს ქმედების ნებართვას, არამედ სისხლისსამართლებრივი უმართლობის არარსებობას, ქმედების შემადგენლობის გან-

<sup>84</sup> Kirchoff P. in: Merten D. (Hrsg.), Aktuelle Probleme des Polizeirechts, Berlin, 1977, 80.

<sup>85</sup> Kirchoff P. in: Merten D. (Hrsg.), Aktuelle Probleme des Polizeirechts, Berlin, 1977 81.

<sup>86</sup> Kirchoff P. in: Merten D. (Hrsg.), Aktuelle Probleme des Polizeirechts, Berlin, 1977, ebenda, 70.

<sup>87</sup> Kirchoff P. in: Merten D. (Hrsg.), Aktuelle Probleme des Polizeirechts, Berlin, 1977, ebenda, 69.

ხორციელების სისხლისსამართლებრივი გაკიცხვის უარყოფას<sup>88</sup>. სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა, ზოგადი მართლწინააღმდეგობისგან განსხვავებით, ქმედების შემადგენლობას ეფუძნება<sup>89</sup>.

მართლწინააღმდეგობა არათანაბარ სამართლებრივ შედეგებს განსხვავებულ წინაპირობებს უწესებს, რაც კი არ ეწინააღმდეგება სამართლის ერთიანობას, არამედ გამომდინარეობს მისგან<sup>90</sup>. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჰ.ლ. გიუნთერი მიუთითებს სამართლებრივ ცნებათა რელატიურობაზე, რომლებიც სამართლის სხვადასხვა დარგში პოულობენ გამოყენებას<sup>91</sup>.

ჰ.ლ. გიუნთერი აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა და ზოგადი მართლწინააღმდეგობა მაშინ იქნებოდა იდენტური, თუ სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა ამავედროულად იქნებოდა ზღვარგამყოფი სამართალსა და უმართლობას შორის, სამართლებრივად ნებადართულ და გასაკიცხ ქმედებას შორის. თუმცა ეს იქნება შეუძლებელი იმ პირობებში, როდესაც დასჯადი ქმედების შემადგენლობის ფუნქციაა დაადგინოს საზღვარი სისხლისსამართლებრივად დასჯად და არადასჯად ქმედებას შორის. ყველა მართლწინააღმდეგო ქმედება არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას. მაგალითად, სამშენებლო სამართლის მიხედვით მართლწინააღმდეგობა მოიცავს მხოლოდ სამშენებლო სამართლისთვის რელევანტურ სფეროს<sup>92</sup>.

ქმედება, რომელიც სისხლისსამართლებრივად არ არის მართლწინააღმდეგო, შეიძლება მაინც რჩებოდეს სამართლებრივად გასაკიცხ ქმედებად. სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობასა და ზოგად მართლწინააღმდეგობას შორის, გიუნთერის მოსაზრებით, არსებობს სუბორდინაციული ურთიერთმიმართება<sup>93</sup>.

გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სხვისი ჯანმრთელობის დაზიანება დაზარალებულის თანხმობის შედეგად შეიძლება მაშინაც გამართლდეს, როცა იგი მართლწინააღმდეგოდ მიიჩნევა მედიცინის სამართლის<sup>94</sup> მიხედვით. გარდა ამისა, მიუთითებენ ქმედების სამოქალაქო სამართლებრივ და საჯარო სამართლებრივ აკრძალვასა და მართლწინააღმდეგობაზე, როცა აღნიშნული ქმედების მიმართ სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობა გამოირიცხება<sup>95</sup>.

<sup>88</sup> Günther H.L., Strafrechtswidrigkeit und Strafunrechtsausschluß, 1983, 122, 86.

<sup>89</sup> იქვე, 85.

<sup>90</sup> იქვე, 93.

<sup>91</sup> იქვე, 94.

<sup>92</sup> იქვე, 100-101.

<sup>93</sup> იქვე, 101.

<sup>94</sup> ანალოგიურ მაგალითად შეიძლება დასახელდეს უკანონო აბორტის შემთხვევა, როცა აბორტი უკანონო აბორტის მართლზომიერების პირობებთან შეუსაბამობის გამო, მაგრამ უკიდურესი აუცილებლობის გამო სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლწინააღმდეგობა გამოირიცხება. მაგალითად, სახლის პირობებში აბორტის გაკეთება, ორსული ქალის სიცოცხლის გადასარჩენად, როცა მისი გადაყვანა სპეციალიზირებულ დაწესებულებაში შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ქმედება სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლწინააღმდეგოდ არ ითვლება, ჯანმრთელობის დაცვის კანონის ფორმალური მოთხოვნა, აკრძალვა დარღვეულია.

<sup>95</sup> Sternberg-Lieben D. in: Schönke A., Schröder H., Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Auflage, 2019, §32 Rn. 27c.

შეიძლება ქმედება, რომელსაც სისხლის სამართლისთვის არამართლსაწინააღმდეგოს მნიშვნელობა აქვს, მართლწესრიგის სხვა სფეროში (მაგალითად, სამოქალაქო სამართალში) წარმოადგენდეს სამართლებრივი შედეგის საყრდენს<sup>96</sup>. არსებობს ქმედებები, რომლებიც მართლწესრიგის სხვა სფეროში მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ არა სისხლის სამართალში<sup>97</sup>. სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის არარსებობა არ გულისხმობს იმას, რომ ქმედება მართლზომიერია მთელი მართლწესრიგისთვის. იმასთან დაკავშირებით, ქმედება არის თუ არა მართლსაწინააღმდეგო სისხლისსამართლებრივი გაგებით, კანონმდებელი გადაწყვეტილებას იღებს ქმედების შემადგენლობის სიბრტყეზე<sup>98</sup>. თუ სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა არ არის განხორციელებული, ქმედება, რომელიც სამართლის სხვა დარგშია მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნეული, ასეთად ვერ ჩაითვლება სისხლისსამართლებრივი გაგებით.

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქმედება სისხლის სამართალში მართლსაწინააღმდეგოა მანამ, სანამ მისი საშუალებით შესაძლებელია ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელება. დანაშაულის ნიშანი მართლწინააღმდეგობა ეფუძნება არა შესაფასებელ ქმედებას, არამედ მის შესაბამისობას ქმედების შემადგენლობასთან<sup>99</sup>. თუმცა, ქმედების მართლწინააღმდეგობისთვის, რასაკვირველია, არ არის საკმარისი ქმედების შემადგენლობასთან შესაბამისობა<sup>100</sup>.

სამართლებრივი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედების დასჯადი ფორმა კანონში დანაშაულის აღწერილობაშია მოცემული, რომელიც ქმედების შემადგენლობად იწოდება. კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება იმ პირობით დაისაჯოს, რომ ის ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობაშია აღწერილი, რომლისთვისაც სასჯელია გათვალისწინებული<sup>101</sup>.

სისხლის სამართალში ქმედების მართლზომიერება-მართლწინააღმდეგობის შეფასების საკითხი დღის წესრიგში რომ დადგეს, აუცილებელია სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელება. თუ ქმედების შემადგენლობა არ არის განხორციელებული, არც წარმოიშობა ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის საჭიროება.

მართლწინააღმდეგობა არის ქმედების შემადგენლობაზე დაყრდნობილი და დაყოფადი (teilbar)<sup>102</sup>. ქმედების შემადგენლობაზე დაფუძნებულში იგულისხმება ის, რომ

<sup>96</sup> Mitsch W. in: Baumann J., Weber U., Mitsch W., Eisele J., Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, 334, §14 Rn. 3.

<sup>97</sup> Mitsch W. in: Baumann J., Weber U., Mitsch W., Eisele J., Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, 334, §14, Rn. 4; Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, 125-126, Rn. 308.

<sup>98</sup> Mitsch W. in: Baumann J., Weber U., Mitsch W., Eisele J., Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, 334, §14, Rn. 4; Günther H.L., Strafrechtswidrigkeit und Strafunrechtsausschluss, 1983, 105.

<sup>99</sup> Horn H.R., Untersuchung zur Struktur der Rechtswidrigkeit, Berlin, 1961, 66-67; Stratenwerth G., Strafrecht, Allgemeiner Teil, Die Straftat, 1981, 74, Rn. 186; Günther H.L., Strafrechtswidrigkeit und Strafunrechtsausschluss, 1983, 104.

<sup>100</sup> ამ მხრივ, გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს წამების შემადგენლობა, ვინაიდან წამების გამამართლებელი გარემოება არ არსებობს წამების აკრძალვის უფლების აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე.

<sup>101</sup> Jescheck H.-H., Weigend Th., Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Aufl., Berlin, 1996, 244.

<sup>102</sup> Widmaier G., Die Teilbarkeit der Unrechtsbewertung – OLG Celle, NJW 1969, 1775, Jus 1970, 611-615.



ქმედებაზე მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებულ შეფასებას აქვს განსაზღვრული ფარგლები, რომელიც ქმედების შემადგენლობას ემყარება. მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებული შეფასების საგანი არის ქმედება იმდენად, რამდენადაც ის შესაბამეა სსკ-ით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობას. მართლწინააღმდეგობა არ ეფუძნება იმ ქმედებას, რომელიც არ შეიცავს ქმედების შემადგენლობის ნიშნებს. როდესაც ხდება არა სხვისი, არამედ საკუთარი ნივთის დაზიანება, არ დაისმის კითხვა იმის შესახებ, ეს ქმედება მართლზომიერია თუ მართსწინააღმდეგო<sup>103</sup>, ვინაიდან 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დისპოზიციაში მკაფიოდ არის მითითებული, რომ შესაბამისი ქმედების შემადგენლობა მხოლოდ სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

როდესაც ხდება მართლწინააღმდეგობის დადგენა, ხდება არა ქმედების შეფასება მთლიანობაში, არამედ ქმედების შემადგენლობის შესაბამისობის ფარგლებში<sup>104</sup>. ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედება შეიძლება მაშინაც გამართლდეს, როცა ის სხვა თვალსაზრისით მართლწინააღმდეგოა<sup>105</sup>.

მართლწინააღმდეგობის სისხლისსამართლებრივი გაგება მართლწესრიგის ერთიანობის პრინციპის უარყოფას კი არ გულისხმობს, არამედ გამოხატავს იმ იდეას, რომ ქმედების სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლწინააღმდეგობისთვის აუცილებელი წინაპირობაა ქმედების შემადგენლობის განხორციელება და ქმედების სოციალური საშიშროება შესაბამისი სიმძიმით (მოცულობით), რაც გამომდინარეობს *ultima ratio* პრინციპიდან. აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარეობს ის, რომ ის, რაც სისხლის სამართალში მცირე მნიშვნელობის ქმედებად ფასდება, შეიძლება ინვევედეს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალში.

მეტად საგულისხმოა გ. ტოიბნერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დოგმატურად სამართლის ცნებითი და მხოლოდ შეფასებითი ერთიანობის წარმოება სამართლის უმეტესი დარგისთვის (როგორცაა მაგალითად, სამოქალაქო სამართალი) და მთლიანი მართლწესრიგისთვის წარუმატებელი იქნება<sup>106</sup>. ტოიბნერს რეალისტურად და ნორმატიული თვალსაზრისით გამართლებულად მიაჩნია ვალცის მიერ ჩამოყალიბებული „მართლწესრიგის დარგების რელატიური ავტონომიურობის“ პრინციპი (*Grundsatz der „relative Autonomie von Teilrechtsordnungen“*), რომელიც საგადასახადო სამართლის მაგალითზე განვითარდა და განზოგადების უნარი გააჩნია<sup>107</sup>.

მ. უგრეხელიძე საფრთხის დელიქტებში მართლწინააღმდეგობის საკითხის განხილვისას გამოყოფს გაუფრთხილებლობით დელიქტებს და მის თავისებურებად მიაჩნია ის, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობის დასაბუთება შეუძლებელია წინდახედულობის ნორმის დარღვევის გარეშე. გაუფრთხილებლობა გულისხმობს წინდახედულო-

<sup>103</sup> Mitsch W. in: Baumann J., Weber U., Mitsch W., Eisele J., Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, §14 Rn. 14, 340.

<sup>104</sup> Dencker F., Der verschuldete rechtfertigende Notstand – BayObLG, NJW 1978, 2046, Jus 1979, 779.

<sup>105</sup> Frister H., Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2015, 180, 14. Kapitel, Rn. 1; Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, 126, Rn. 309.

<sup>106</sup> „Eine begriffliche oder auch nur wertungsmäßige Einheit des Rechts mit dogmatischen Mittelherzustellen, muß schon für die großen Teilgebiete des Rechts wie etwa das Privatrechts scheitern, erst recht für die Rechtsordnung als Ganzes“. Teubner G., Recht als autopoietisches System, 1989, 138-139.

<sup>107</sup> Teubner G., Recht als autopoietisches System, 1989, 139.

ბის ნორმის დარღვევას. შესაბამისად, თუ წინდახედულობის ნორმა არ დაირღვა, შეუძლებელია ქმედების მართლწინააღმდეგობა დადგინდეს. საგულისხმოა ის, რომ ავტორი თვით წინდახედულობის ნორმის დარღვევას ასევე თვლის მართლწინააღმდეგობად, მაგრამ არა სისხლისსამართლებრივ, არამედ პირველად მართლწინააღმდეგობად, რომელიც წინ უსწრებს სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას.

როდესაც საუბარია წინდახედულობის ნორმის და სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნის დარღვევაზე, აღნიშნულ მოთხოვნებთან ქმედების შეუსაბამობაზე, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სსკ-ის მე-10 მუხლი გაუფრთხილებლობის სახეების საკანონმდებლო სახეების განსაზღვრებაში მიუთითებს ქმედების წინდახედულობის ნორმით აკრძალვაზე და მართლწინააღმდეგო შედეგზე. ქმედებასთან მიმართებით საუბარია წინდახედულობის ნორმის დარღვევის გაცნობიერებაზე თუ გაცნობიერების შესაძლებლობაზე, ხოლო შედეგთან მიმართებით შედეგის მართლწინააღმდეგო ხასიათზე.

გაუფრთხილებლობითი დანაშაული არ გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას და ის დანაშაულის ერთ-ერთ ნიშნად ისევე განიხილება, როგორც განზრახ დელიქტებში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მართლწინააღმდეგობა განზრახ და გაუფრთხილებლობით დელიქტებში განსხვავებული მასალისგან აიგება. თუ განზრახ დელიქტებში სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლწინააღმდეგობა გულისხმობს ქმედების შეუსაბამობას სისხლისსამართლებრივ აკრძალვასთან, გაუფრთხილებლობის დროს ქმედების მართლწინააღმდეგობა პირველ რიგში წინდახედულობის ნორმის დარღვევას ეფუძნება. თუმცა, წინდახედულობის ნორმის დარღვევა სისხლის სამართალში ქმედების მართლწინააღმდეგობის არასაკმარისი საფუძველია და საჭიროა, რომ განხორციელებული ქმედება ასევე იყოს გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი ნორმითაც, რომელსაც ასევე გააჩნია ამკრძალავი ხასიათი. ამასთან ერთად, სახეზე არ უნდა იყოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება.

## 9. ბრალი

ბრალის, როგორც დანაშაულის ერთ-ერთი სტრუქტურული ელემენტის, მოძღვრებამ საკმაოდ ვრცელი გზა განვლო, დანაშაულის კლასიკური მოძღვრების პარალელურად განვითარებული წმინდა ფსიქოლოგიური თეორიიდან მოყოლებული, ნორმატიულ-ფსიქოლოგიური, წმინდა ნორმატიული და ფუნქციონალური თეორიების ჩათვლით. ბრალი ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით გულისხმობს ქმედებასთან და ქმედებით გამოწვეულ შედეგთან ფსიქიკურ კავშირს<sup>108</sup>. თუმცა, ასეთი ფსიქიკური კავშირი არსებობს მართლზომიერი ქმედების დროსაც, როცა პირი მოქმედებს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და კლავს თავდამსხმელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ბრალის ახალი ცნების შემუშავება, სადაც მოხდა ნორმატიული ნიშნის შეტანა გასაკიცხაობის სახით და განიმარტა, რომ ბრალი არის არა ყოველგვარი ფსიქიკური

<sup>108</sup> აღნიშნულზე იხ. *Roxin C., Greco L., Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 5. Auflage, 2020, §19 Rn. 10-11.*

კავშირი, არამედ ისეთი, რომელიც გასაკიცხია<sup>109</sup>, გაკიცხვის ღირსია. ბრალის მოცემული განსაზღვრება ცნობილია ნორმატიულ-ფსიქოლოგიური ცნების სახელით.

ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ თეორიას უჭერს მხარს მ. უგრეხელიძეც, რომელიც ბრალს მორალურად გასაკიცხ ფსიქიკურ დამოკიდებულებად წარმოგვიდგენს, როგორც სოციალურ-ეთიკურ კატეგორიას<sup>110</sup>. მისი შეხედულებით, მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობა უკავშირდება სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას, ვინაიდან იქ, სადაც ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს (მაგალითად, ასაკის ან ფსიქიკური შეურაცხადობის გამო) გამოირიცხება მორალურ-პოლიტიკური გასაკიცხაობა. მორალური გასაკიცხაობის გარეშე კი გამოირიცხება მორალური ბრალი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა<sup>111</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრალის ცნებაში შეფასებითი ნიშნის შემოტანა დიდი ხნის წინ იღებს სათავეს. ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური თეორიის მარცხი და ბრალის ცნებაში ნორმატიული ნიშნის შემოტანა უკავშირდება რ. ფრანკის მიერ 1907 წელს გამოცემულ ნაშრომს – ბრალის ცნების აგებისათვის, რომელმაც ბრალი დაახასიათა როგორც გასაკიცხაობა, ხოლო ბრალეული ქმედება როგორც გასაკიცხი ქმედება<sup>112</sup>. ფრანკმა მართებულად გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ მოქმედ პირს ქმედებასთან ფსიქიკური კავშირი აქვს უკიდურესი აუცილებლობის დროსაც, ვინაიდან უკიდურესი აუცილებლობის დროს მოქმედმა პირმა იცის რას აკეთებს<sup>113</sup>. გარდა ამისა, სულით ავადმყოფსაც შეიძლება სურდეს ის ქმედება, რომელსაც ახორციელებს და ისიც იცოდეს, რომ ქმედება, რომელსაც ახორციელებს, დანაშაულია<sup>114</sup>. ამასთან ერთად, დაუდევრობის დროს მოქმედ პირს არ გააჩნია ფსიქიკური კავშირი ქმედებით გამონვეულ შედეგთან. შესაბამისად, საჭირო იყო ბრალის ახალი ცნების ჩამოყალიბება<sup>115</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალის ცნებაში შეფასებითი ნიშნის შემოტანა წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და პასუხისმგებლობისთვის ქმედების გასაკიცხაობა აუცილებელი წინაპირობაა, ეს მაინც არ მიიჩნევა პასუხისმგებლობისთვის საკმარის საფუძვლად<sup>116</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ბრალს, გარდა ფორმალური მხარისა, გააჩნია მატერიალური, შინაარსობრივი მხარეც, რაც უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ქმედების გა-

<sup>109</sup> აღნიშნულზე იხ. *Roxin C., Greco L., Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 5. Auflage, 2020, §19 Rn. 12.*

<sup>110</sup> *უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 7.*

<sup>111</sup> იქვე 8-9.

<sup>112</sup> *Frank R., Über den Aufbau des Schuldbegriffs, 11, in: Frank R., Festschrift für die Juristische Fakultät in Giessen zum Universitäts-Jubiläum, Giessen, 1907, 529.*

<sup>113</sup> *Frank R., Über den Aufbau des Schuldbegriffs, 6, in: Frank R., Festschrift für die Juristische Fakultät in Giessen zum Universitäts-Jubiläum, 1907, 524.*

<sup>114</sup> *Frank R., Über den Aufbau des Schuldbegriffs, in: Frank R., Festschrift für die Juristische Fakultät in Giessen zum Universitäts-Jubiläum, Giessen, 1907, 8, in: F 526.*

<sup>115</sup> *Roxin C., Greco L., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 5. Auflage, 2020, §19 Rn. 11.*

<sup>116</sup> *Roxin C., Greco L., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 5. Auflage, 2020, §19 Rn. 15.*

საკიცხაობა. ავტორთა ნაწილს და მათ შორის მ. უგრეხელიძესაც, სწორედ ასეთად მი-  
აჩნიათ მოქმედი პირის სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა<sup>117</sup>.

დამნაშავე იკიცხება იმიტომ, რომ მან მართლსაწინააღმდეგო ქმედება განახორ-  
ციელა, მაშინ, როცა შეეძლო აღნიშნული ქმედებისგან თავი შეეკავებინა. გერმანიის  
უზენაესი სასამართლოს პოზიციით, ბრალი არის გასაკიცხაობა, მაგრამ პირის ბრალე-  
ული გაკიცხვა ხდება იმიტომ, რომ მან მართლზომიერად არ იმოქმედა, მიიღო გადაწყ-  
ვეტილება უმართლობის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო მართლზომიე-  
რად ემოქმედა და მიეღო გადაწყვეტილება სამართლის სასარგებლოდ. მაშასადამე,  
ბრალეული გაკიცხვის შინაგანი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს აქვს  
პასუხისმგებლიანი, მორალური თვითგამორგვევის შესაძლებლობა და უნარი იმოქმე-  
დოს უმართლობის საწინააღმდეგოდ და სამართლის სასარგებლოდ<sup>118</sup>. ბრალეული პა-  
სუხისმგებლობისთვის გადაწყვეტილების თავისუფლების მნიშვნელობაზე მიუთითებენ  
იეშეკი და ვაიგენდიც<sup>119</sup>.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო ბრალეული პასუხისმგებლობის პრინ-  
ციპის მოთხოვნად მიიჩნევს ადამიანის ნების თავისუფლებას, რომლის საფუძველზეც  
ადამიანს შეუძლია სამართლის სასარგებლო და უმართლობის საწინააღმდეგო გადაწყ-  
ვეტილების მიღება. ადამიანის ღირსების დაცვას საფუძველად უდევს წარმოდგენა ადა-  
მიანზე, როგორც ფსიქიკურ-მორალურ არსებაზე, რომლის მიხედვით ადამიანებს შეუძ-  
ლიათ თავიანთი თავისუფლება თვითონ განსაზღვრონ და განავითარონ<sup>120</sup>.

ბრალის იმ გაგებაში, რომელიც ბრალს სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობად განი-  
ხილავს, სისხლის სამართლის ლიტერატურაში ფართო მხარდაჭერა მოიპოვა. თუმცა,  
ავტორები მას სხვადასხვა ვარიაციით წარმოგვიდგენენ. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც,  
რომ აღნიშნული განსაზღვრების მიხედვით ბრალის დადგენა პრაქტიკაში უფრო მოსა-  
ხერხებელი რომ გახდეს, შემუშავებული იქნა ის მამულები, რომლის გათვალისწინებითაც  
უნდა მოხდეს სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობის დადგენა. კერძოდ, ეს არის სხვაგვა-  
რად ქცევის შესაძლებლობა გამოცდილებიდან გამომდინარე და საშუალო ადამიანის  
შესაძლებლობების გათვალისწინებით. გარდა ამისა, მიუთითებენ უნარების გათვალის-  
წინებაზე ადამიანთა უმეტესობის გათვალისწინებით. სხვაგვარად ქცევის შესაძლებ-  
ლობის მიხედვით ბრალის დადგენასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ფორმული-  
რებაა შემოთავაზებული იეშეკ-ვაიგენდის სახელმძღვანელოში: დამნაშავე მაშინ მოქმე-  
დებს გასაკიცხად, თუ ის იმყოფებოდა ისეთ სიტუაციაში, რომ სხვაგვარად ქცევის შე-  
საძლებლობიდან გამომდინარე, ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, იმავე შემთხვე-

<sup>117</sup> ბრალზე როგორც სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობაზე ასევე იხ. ნაჭყებია გ., ნებისყოფის  
თავისუფლების პრობლემა სისხლის სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეც-  
ნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1975, 6 და მომდევნო; გამ-  
ყრელიძე ო., სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, „გერმანულ-ქართული სისხლის სამარ-  
თლის ელექტრონული ჟურნალი“, №1, 2016, 8. აღნიშნული თეორიის მოკლე მიმოხილვა აგრეთვე  
იხ. კუტალია ლ-გ., ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, 732-735.

<sup>118</sup> BGHSt 2, 200.

<sup>119</sup> Jescheck H.-H., Weigend Th., Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Auflage, 1996, 407-408, §37 I 1.

<sup>120</sup> BVerfGE 123, 413.

ვაში, მის ადგილას სხვა ადამიანი, კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, სხვაგვარად მოიქცეოდა<sup>121</sup>.

მაივალდის მიხედვით, ბრალი არის მეტაფიზიკური ფენომენი<sup>122</sup>, ბრალი პერსონალური გასაკიცხაობის კატეგორია<sup>123</sup>, ის არის გაკიცხვის საფუძველი<sup>124</sup>, ბრალი მოითხოვს ნებისყოფის თავისუფლებას (სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას)<sup>125</sup>.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ კრიტიკის ავტორთა თქმით, ის ეფუძნება ადამიანის ნების თავისუფლებას, რომელიც არ არის მტკიცებადი. გარდა ამისა, აღნიშნული შეხედულების კრახს იმით ხსნიან, რომ გადანყვეტილების მიღების თავისუფლების სახით დამნაშავის მიერ სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა დანაშაულის ჩადენის დროს მეცნიერული დადგენის თვალსაზრისით არ არის მოსახერხებელი<sup>126</sup>.

ბოკელმანი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თუ კანონს განვმარტავთ ინდეტერმინიზიმის პოზიციიდან და ვიტყვით, რომ ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია თავისუფლად იმოქმედოს და ფსიქიკური ავადმყოფობის არსებობა არჩევანის თავისუფლების არარსებობაში მდგომარეობს, იქნებოდა სრული სისულელე. ნებისყოფის თავისუფლებასთან ბრალის პრობლემის დაკავშირებაში ბოკელმანი იმასაც მიიჩნევს პრობლემურად, რომ მისი თქმით, თავისუფლების პრობლემა თეორიულად არის გადაუჭრელი. და თუ დავუშვებთ იმას, რომ თავისუფლების პრობლემა კონკრეტულ შემთხვევაში და განსაზღვრული ადამიანების მიმართ შეიძლება გადაიჭრას, ეს იქნებოდა გაუმართლებელი. თუმცა, კანონის შინაარსი ამაში არ მდგომარეობს<sup>127</sup>.

ბურკჰარდტს პერსონალური გასაკიცხაობის საფუძველად მიაჩნია არა ნებისყოფის თავისუფლება, არამედ ზოგადადამიანური თავისუფლების განცდის ფსიქოლოგიური მდგომარეობა (*Psychologische Tatsache des allgemeinen menschlichen Freiheitserlebens*). სისხლისსამართლებრივი ბრალი მოითხოვს, რომ დამნაშავემ თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სხვაგვარი შესაძლებლობის შეგნებით განახორციელოს<sup>128</sup>. ბურკჰარდტს გაუმართლებლად მიაჩნია ბრალეული გაკიცხვის დაფუძნება ნებისყოფის თავისუფლებასთან იმ თვალსაზრისით, რომ ნებისყოფის თავისუფლება არ არის დამტკიცებადი (*nicht beweisbar*)<sup>129</sup>.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სისხლის სამართალში მართებულად არის აღნიშნული, რომ გამოთქმული კრიტიკა გადაჭარბებულია. თუმცა მიუთითებენ იმასაც, რომ თუ ბრალის არსებობის დასადგენად ემპირიული მონაცემები იქნებოდა გასათვა-

<sup>121</sup> *Jescheck H-H., Weigend Th.*, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Auflage, 1996, 411, §37 I 2 b.

<sup>122</sup> *Maiwald M.*, Gedanken zu sozialen Schuldbegriff, Festschrift für Karl Lackner zum 70. Geburtstag, Berlin, 1987, 164.

<sup>123</sup> *Maiwald M.*, Gedanken zu sozialen Schuldbegriff, Festschrift für Karl Lackner zum 70. Geburtstag, Berlin, 1987, 154.

<sup>124</sup> იქვე, 163.

<sup>125</sup> იქვე, 164.

<sup>126</sup> *Roxin C., Greco L.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 5. Auflage, 2020, §19 Rn.21.

<sup>127</sup> *Bockelmann P.*, Willensfreiheit und Zurechnungsfähigkeit, ZStW 1963, 380.

<sup>128</sup> *Burkhardt B.*, Gedanken zu einem individual- und sozial psychologisch fundierten Schuldbegriff, Festschrift für Manfred Maiwald zum 75. Geburtstag, Berlin, 2010, 82.

<sup>129</sup> *Burkhardt B.*, Gedanken zu einem individual- und sozial psychologisch fundierten Schuldbegriff, Festschrift für Manfred Maiwald zum 75. Geburtstag, Berlin, 2010, 83.

ლისწინებელი, რასაც აღნიშნული ავტორები პრინციპულად შეუძლებლად მიიჩნევენ, ბრალის პრინციპზე დაფუძნებული სისხლის სამართლის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა და *in dubio pro reo* პრინციპი თავის მნიშვნელობას დაკარგავდა<sup>130</sup>.

როდესაც საუბარია ბრალზე, როგორც სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობაზე, ყოველთვის იგულისხმება ის გარემოებები, რომელთა არსებობითაც შეიძლება დადგინდეს, ჰქონდა თუ არა მოქმედ პირს შესაძლებლობა სხვაგვარად ემოქმედა. ასეთ გარემოებებს შეიძლება წარმოადგენდნენ: ასაკი, ფსიქიკური მდგომარეობა, ქმედების მნიშვნელობის და მისი შედეგების გაცნობიერების შესაძლებლობა და ა. შ. ე. ი. ყველა ის გარემოება, რომლის არსებობასთანაც არის დაკავშირებული ბრალის გამორიცხვა ქართული სსკ-ის მიხედვით. ქართული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ბრალის გამომრიცხავი გარემოებები კარგად გამოხატავენ ბრალის დასადგენად სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობის მნიშვნელობას. აღნიშნული ასევე კარგად ვლინდება ბრალის გამომრიცხავ ზეკანონურ გარემოებებშიც. მაგალითად, ტრაგიკული კოლიზიის, საპატიო უკიდურესი აუცილებლობის დროს, იმიტომ არ ერაცხება უმართლობა მოქმედ პირს, რომ მოქმედების დროს არ ჰქონდა სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა.

სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა მოითხოვს ქმედების მნიშვნელობის გაცნობიერებას და გაცნობიერების შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. უგრეხელიძე ქმედების საშიშროების (მართლწინააღმდეგობის) შეუგნებლობას, ასეთი გაცნობიერების შესაძლებლობის არარსებობისას, ბრალის გამორიცხვის საფუძვლად წარმოგვიდგენს<sup>131</sup>, რაც ლოგიკურია, ვინაიდან შეუძლებელია ქმედების საშიშროების გაცნობიერება მოსთხოვო ადამიანს, რომელიც ასეთ შესაძლებლობასაა მოკლებული ასაკის, ფსიქიკური მდგომარეობის თუ სხვა რამ გარემოების გამო.

მ. უგრეხელიძე ერთმანეთისგან მიჯნავს ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებას და მართლწინააღმდეგობის შეგნების შესაძლებლობას<sup>132</sup>, როგორც ბრალის ნიშანს, ისევე როგორც ქმედების პირველადი მართლწინააღმდეგობის და სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის შეგნებას<sup>133</sup>. ავტორის თქმით, თვითიმედოვნებისგან განსხვავებით, დაუდევრობის დროს შესაძლებელია საუბარი არა მართლწინააღმდეგობის შეგნებაზე, არამედ მის შესაძლებლობაზე<sup>134</sup>.

ბრალთან დაკავშირებით მ. უგრეხელიძის მოსაზრება შეიძლება ჩაითვალოს მისი მასწავლებლების თ. წერეთლის და ვ. მაყაშვილის შეხედულებათა თანაზიარად, რომლებმაც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პირველებმა განავითარეს დანაშაულის სამნიშვნოვანი ცნება და მხარს უჭერდნენ ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ თეორიას<sup>135</sup>.

<sup>130</sup> Roxin C., Greco L., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 5. Auflage, 2020, §19 Rn. 21.

<sup>131</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 26.

<sup>132</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 30.

<sup>133</sup> იქვე, 30-31.

<sup>134</sup> იქვე, 30.

<sup>135</sup> წერეთელი თ., ბრალის ცნების განვითარება საბჭოთა სისხლის სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, 1967, 40; Церетели Т., К вопросу о понятии вины, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, №1, 129; მაყაშვილი ვ. ნიგნში: წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ. (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, 47.

მ. უგრეხელიძეს მორალური ბრალი სისხლისსამართლებრივი ბრალის საფუძვლად მიაჩნია და მისგან მოწყვეტით არ განიხილავს. თუმცა, მიჯნასაც ავლებს მორალურ გაკიცხვასა და სისხლისსამართლებრივ გაკიცხვას შორის და აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის წესით დასჯა დაუშვებელია ქცევის გარეგანი აქტის გარეშე, მაშინ, როდესაც, მისი არარსებობის პირობებში შესაძლებელია მორალური გაკიცხვა. მაგალითად, მორალურად გაკიცხვის ღირსია შური<sup>136</sup>, რაც ვერ გახდება სამართლებრივი გაკიცხვის საფუძველი. შესაბამისად, როდესაც ავტორი საუბრობს გასაკიცხ ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით, თვლის, რომ მან გამოვლინება უნდა ჰპოვოს კონკრეტულ ქმედებაში<sup>137</sup>, ვინაიდან სისხლის სამართალი ქმედების სამართალია და სისხლის სამართლის წესით ადამიანი მხოლოდ ქმედებისთვის შეიძლება დაისაჯოს და არა მხოლოდ ბოროტი განზრახვისთვის თუ აზრთა წყობისთვის.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მ. უგრეხელიძე სისხლისსამართლებრივ გაკიცხვას უკავშირებს ქმედებას, როგორც იურიდიულად რელევანტურ ფაქტს<sup>138</sup>, რაც იმას გულისხმობს, რომ ერთი მხრივ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ქმედება, მაგრამ არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ იურიდიულად რელევანტური. ზოგიერთ შემთხვევაში, განხორციელებული ქმედება თითქოს შეიცავს სისხლისსამართლებრივი გაგებით ქმედების ნიშნებს, მაგრამ რეალურად, ასეთი ქმედება სახეზე არ არის იმის გამო, რომ ქმედება სისხლისსამართლებრივად ირელევანტურია. ქმედება სისხლისსამართლებრივად მაშინ არის რელევანტური, როცა მას შეუძლია ზეგავლენის მოხდენა მოვლენათა მსვლელობაზე.

ვინაიდან მ. უგრეხელიძე ბრალის შერეულ თეორიას უჭერს მხარს, განზრახვას და გაუფრთხილებლობას ბრალის ფორმებად წარმოგვიდგენს<sup>139</sup>, თუმცა, ამავედროულად მათ ითვალისწინებს ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის კონსტრუირებისთვის და არ უარყოფს მათ მნიშვნელობას ქმედების შემადგენლობათა საკანონმდებლო შემადგენლობის აგებისთვის.

უნდა ითქვას, რომ განზრახვის და გაუფრთხილებლობის განხილვა ქმედების შემადგენლობის სიბრტყეზე, იმ აუცილებლობით არის განპირობებული, რომ სწორედ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მიხედვით ხდება ქმედების შემადგენლობათა გამიჯვნა ერთმანეთისგან და იმის დადგენა, თუ რომელი ტიპის უმართლობასთან გვაქვს საქმე. ქმედების შემადგენლობათა, სხვადასხვა ტიპის უმართლობათა გამიჯვნა ერთმანეთისგან, ზოგჯერ შეუძლებელია, მხოლოდ ისეთი სუბიექტური ნიშნების საფუძველზე, როგორც მოტივი და მიზანია. განზრახ მკვლელობა სხვა ტიპის უმართლობაა, ხოლო გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა სხვა უმართლობა. მართალია, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისგან განსხვავებით, განზრახ მკვლელობა შეიძლება განხორციელდეს სხვისი სიცოცხლის მოსპობის მიზნით, მაგრამ განზრახ მკვლელობა ყოველთვის არ გულისხმობს მიზნით დეტერმინირებულ ქმედებას და იგი შეიძ-

<sup>136</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 9-10.

<sup>137</sup> იქვე, 10.

<sup>138</sup> იქვე.

<sup>139</sup> იქვე, 12, 23.

ლება განხორციელდეს სხვისი სიცოცხლის მოსპობის მიზნის გარეშე. მიზანი, ისევე როგორც მოტივი, არ წარმოადგენს განზრახ მკვლელობის უმართლობის დამაფუძნებელ სუბიექტურ ნიშნებს. მიზანმა ან მოტივმა მკვლელობასთან დაკავშირებით შეიძლება პასუხისმგებლობა დაამძიმოს (ანგარების მოტივი, დანაშაულის დაფარვის ან ჩადენის გადვილების მიზანი და სხვა) ან შეამსუბუქოს (მსხვერპლის ძლიერი ფიზიკური ტკივილისგან გათავისუფლების მიზანი, სიბრალულის მოტივი). განზრახ მკვლელობა შეიძლება განხორციელდეს არაპირდაპირი განზრახვითაც, როდესაც ქმედება არ არის დეტერმინირებული სხვისი სიცოცხლის მოსპობის მიზნით, რაც მიუთითებს განზრახვის, როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის მნიშვნელობაზე ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ასაგებად.

### 10. მცდელობა საფრთხის დელიქტებში

ცნობილია, რომ დანაშაული შეიძლება განხორციელდეს როგორც დასრულებული, ისე დაუმთავრებელი ფორმით. ქართული სისხლის სამართალი დაუმთავრებელი დანაშაულის ორ სახეს იცნობს, დანაშაულის მომზადების და მცდელობის სახით, მაგრამ საკითხავია, არის თუ არა დამახასიათებელი მცდელობის სტადია საფრთხის დელიქტებისთვის. ერთ-ერთი მოსაზრებით, საფრთხის შემქმნელ დელიქტებში მცდელობა შესაძლებელია, მაგრამ იგი იმდენად მცირე საშიშროებას შეიცავს, რომ მისი დასჯადობა გაუმართლებელი იქნებოდა, ვინაიდან დამნაშავეს წაერთმეოდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა<sup>140</sup>. აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან დანაშაულზე ხელის აღება მომზადების ან მცდელობის სტადიაზე ხდება და ამ მოტივით უარი უნდა გვეთქვას დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობაზე<sup>141</sup>.

საფრთხის დელიქტებში მცდელობა რომ შესაძლებელია და საფრთხის შემქმნელი დელიქტის მცდელობა დასჯადობის ღირს საშიშროებას რომ შეიძლება გულისხმობდეს, ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის არაერთი პარაგრაფი პირდაპირ მიუთითებს ზოგიერთი საფრთხის დელიქტის მცდელობის დასჯადობაზე<sup>142</sup>, ვინაიდან გერმანული სსკ-ი ერთმანეთისგან მიჯნავს სისხლისსამართალდარღვევის ორ სახეს დანაშაულის და გადაცდომის სახით და გადაცდომის მცდელობის დასჯადობა საჭიროებს პირდაპირ მითითებას შესაბამის სისხლისსამართლებრივ ნორმაში, რამეთუ გადაცდომა დანაშაულთან შედარებით უფრო მსუბუქი საშიშროების შემცველ სისხლისსამართალდარღვევად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ გადაცდომა დანაშაულზე უფრო მსუბუქი უმართლობის შემცველ ქმედებად განიხილება, ცალკეულ შემთხვევებში არ გამოირიცხება მისი მცდელობის დასჯადობა. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ზოგიერთი გადაცდომა გერმანული სსკ-ის მიხედვით, საფ-

<sup>140</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, 231.

<sup>141</sup> ცეციტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, 271.

<sup>142</sup> Hilgendorf E. in: Arzt G., Weber U., Heinrich B., Hilgendorf E., Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Auflage, 2021, §35. Rn. 118; Zaczyk R., Das Unrecht der versuchten Tat, Berlin, 1989, 322-325; Fischer T., Strafgesetzbuch und Nebengesetze, 68. Aufl., München, 2021, 2352, 2354, 2363.



რთხის დელიქტებს განეკუთვნება. მცდელობის შესაძლებლობას საფრთხის დელიქტებში არც მ. უგრეხელიძე არ გამოორიციხავს<sup>143</sup>.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოა დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობის საკითხიც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მომზადების და მცდელობის სტადიები მხოლოდ განზრახი დანაშაულისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ განზრახვაც ორ სახედ იყოფა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, არის თუ არა შესაძლებელი დანაშაულის მცდელობა განზრახვის ორივე სახით. ერთ-ერთი მოსაზრებით, დანაშაულის მცდელობა შეიძლება არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვითაც<sup>144</sup>. თუმცა, მეორე მოსაზრებით, რომელიც ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებულ შეხედულებად ითვლება, დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება<sup>145</sup>. ამავე მოსაზრებას იზიარებს მ. უგრეხელიძე და მიუთითებს, რომ პირდაპირი განზრახვის არსებობა-არარსებობაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ დანაშაულის მცდელობა<sup>146</sup>.

ვინაიდან მცდელობა გულისხმობს გამიზნულ ქმედებას<sup>147</sup>, მცდელობასთან დაკავშირებით გასაზიარებელია ის მოსაზრება, რომელიც ევენტუალური განზრახვით მცდელობას უარყოფს. როდესაც ქმედება მიზნითაა დეტერმინირებული, შედეგი, რომლის დადგომის საფრთხეც იქმნება, წარმოადგენს არა შესაძლო თანამდევ შედეგს, არამედ ისეთს, რომლის გამოწვევისკენაც არის მიმართული ბოროტმოქმედის მთელი ძალისხმევა ან რომლის დადგომის გარდაუვალობას აცნობიერებს. მართალია, გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში არ გამოორიციხავენ მიზნით დაფუძნებული დელიქ-

<sup>143</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 15.

<sup>144</sup> ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 298; ებრალიძე თ. ნიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, 106-107; ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, 156-162; ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016, 119; Roxin C., Strafrecht, AT, Band II, München, 2003, 353, §29, Rn. 71; Jescheck H-H, Weigend T., Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996, 515; Heinrich B., Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, 292, Rn. 658.

<sup>145</sup> წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, 350, 488; გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, თბ., 2013, 244-245; მჭედლიშვილი-ჭედრიანი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, 71; მამულაშვილი გ., თოდუა ნ. ნიგნში: ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნის, მე-7 გამოც., თბ., 2019, 181; დვალაძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედებისკვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, 89; სულაქველიძე დ., დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, ჟურნ. „სამართალი“, №3-4, 1991, 11; სურგულაძე ლ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, 52; ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, 225; Puppe I., Der halbherzige Rücktritt, NStZ, 1984, 491; Streng F., Rücktritt und dolus eventualis, JZ, 1990, 219; Kölz-Ott M., Eventualvorsatz und Versuch, Zürich, 1974, 39, 98; Stooss C., Dolus eventualis und Gefährdung, ZStW 1895 (15), 200; Lampe E., Genügt für den Entschluß des Täters in §43 StGB sein bedingter Vorsatz?, NJW 1958, 333; Bauer W., Die Abgrenzung des dolus eventualis – ein Problem der Versuchsdogmatik, Wistra 1991, 171; Dubber M., Einführung in das US-amerikanische Strafrecht, München, 2005, 125-126.

<sup>146</sup> უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 15.

<sup>147</sup> Alwart H., Strafwürdiges Versuch, Eine Analyse zum Begriff der Strafwürdigkeit und zur Struktur des Versuchsdelikts, Berlin, 1982, 142-143.

ტის განხორციელებას არაპირდაპირი განზრახვით, მაგრამ არსებობს დელიქტები, რომლის გამიზნულად განხორციელება არაპირდაპირი განზრახვით მოქმედების შესაძლებლობას გამოიწვევს. თუ ბოროტმოქმედი სხვისი სიცოცხლის ხელყოფის მიზნით მოქმედებს, შეუძლებელია ქმედება არაპირდაპირი განზრახვით ხორციელდებოდეს.

დანაშაულის მცდელობა რომ პირდაპირი განზრახვით განხორციელებულ ქმედებას გულისხმობს, დასტურდება საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითაც, რომლის თანახმადაც, დანაშაულის მცდელობა არის ისეთი განზრახვი ქმედება რომელიც უშუალოდაა მიმართული დანაშაულის განხორციელებისკენ. სიტყვები „უშუალოდ მიმართული“ უნდა გავიგოთ, როგორც მიზანდასახული, გამიზნული, სადაც დამნაშავე არა მხოლოდ აცნობიერებს დანაშაულის განხორციელების (მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევის) შესაძლებლობას, არამედ ასევე სურს კიდევაც იგი. მოსაზრებას, რომელიც არაპირდაპირი განზრახვით მცდელობას გამოიწვევს, ზურგს უმყარებს ქართულ სსკ-ში საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შემადგენლობების შემოტანა, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 127-ე და 128-ე მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობები<sup>148</sup>. დასახელებულ შემადგენლობათა განხორციელებისას დანაშაულის მსხვერპლის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა არსებობს და ეს საშიშროება რეალურია, ბოროტმოქმედი დანაშაულს განზრახ ჩადის, მაგრამ მისი განზრახვა საფრთხეზე ვრცელდება. ხოლო მსხვერპლის სიცოცხლის მოსაპოვებლად დაკავშირებით დამოკიდებულება არაპირდაპირი განზრახვის სახით არსებობს. საფრთხის შექმნის განზრახვა და სიცოცხლის ხელყოფის განზრახვა არ არის იდენტური. როდესაც სიცოცხლისთვის რეალური, კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვით ხორციელდება ქმედება მსხვერპლის სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით არსებობს დამოკიდებულება არაპირდაპირი განზრახვით, რაც რეალური საფრთხის ბუნებიდან გამომდინარეობს<sup>149</sup>.

თუ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობას შესაძლებლად ჩავთვლით, ჩნდება კითხვა, თუ რა ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს საფრთხის დელიქტთა შემადგენლობები. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შემადგენლობა მაშინ არის განხორციელებული, როცა ერთი მხრივ, დამნაშავე განზრახ ახორციელებს კონკრეტული საფრთხის დელიქტს და მეორე მხრივ, გაუფრთხილებლობით მოქმედებს მსხვერპლის სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით<sup>150</sup>. თუმცა, მოცემული მოსაზრება საკამათოა გაუფრთხილებლობასთან კონკრეტული საფრთხის შექმნის განზრახვის შესაბამისიდან გამომდინარე. ის ვინც მოქმედებს ქმედების რეალური საშიშროების გაცნობიერებით, მოქმედებს არა გაუფრთხილებლობით, არამედ, სულ მცირე, არაპირდაპირი განზრახვით. არაპირდაპირი განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის ზღვარი სწორედ ქმედების აბსტრაქტული თუ რეალური საშიშროების გაცნობიერებაშია.

არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის იდეის უარყოფის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტორიც, რომ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსე-

<sup>148</sup> გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, 245.

<sup>149</sup> ცეციტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, 248-249.

<sup>150</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 304.

ბოხს სკეპტიკური დამოკიდებულება არაპირდაპირი განზრახვის განზრახვის სახედ მიჩნევასთან დაკავშირებით<sup>151</sup>, რაც იმითაც არის განპირობებული, რომ არაპირდაპირ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის, შეიძლება ითქვას, ერთი ნაბიჯია. მიუთითებენ იმასაც, რომ არაპირდაპირი განზრახვა გაუფრთხილებლობა უფროა, ვიდრე განზრახვა<sup>152</sup>.

ქართული საკანონმდებლო რეალობის მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვა განზრახვის საკანონმდებლო სახეა, მაგრამ ზემოთ დასახელებული არგუმენტები საკმარისად წარმოაჩენენ იმას, თუ რას ეფუძნება და რამდენად მართებულია არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის უარყოფა. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის აღიარება მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას გულისხმობს, სამართალდამცავ ორგანოებს კი უმარტივეს საქმეს ქმედების მცდელობად კვალიფიკაციის თვალსაზრისით, რაც ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებების ლიბერალურად დაცვისა და სისხლის სამართლის ჰუმანიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯად.

#### **ბიბლიოგრაფია:**

1. *გამყრელიძე ო.*, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი“, 2016, №1, 8.
2. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, 312-313, 378.
3. *გამყრელიძე ო.*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, 163, 244-245.
4. *გამყრელიძე ო.*, მართლწინააღმდეგობის ცნება და სისხლის სამართლის კანონი, ჟურნ. „ცხოვრება და კანონი“, 2013, №2 (17), 7.
5. *გამყრელიძე ო.*, პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1966, №6, 85-86.
6. *გეგელია თ.* წიგნში: *გეგელია თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ.*, სექსობრივი დანაშაულები, თბ., 2020, 28.
7. *გოთუა ზ.*, პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის, თბ., 1994, 7.
8. *დვალიძე ი.*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, 89.
9. *დვალიძე ი.*, წიგნში: *ნაჭყებია გ., დვალიძე ი., (რედ.)*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, 172, 241.
10. *ებრალიძე თ.* წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, 106-107.
11. *თოდუა ნ.* წიგნში: *ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-7გამოც., თბ., 2019, 238.
12. *თოდუა ნ.* წიგნში: *ნაჭყებია გ., თოდუა ნ. (რედ.)*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-4 გამოცემა, თბ., 2019, 343-345.

<sup>151</sup> *Sauer D.*, Die Fahrlässigkeitsdogmatik der Strafrechtlehre und der Strafrechtsprechung, Hamburg, 2003, 246. ასევე იხ. *ტურავეა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 288-289.

<sup>152</sup> *Zielinski D.*, Handlungs- und Erfolgsunwert im Unrechtsbegriff, Berlin, 1973, 168.

13. თოდუა ნ., საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, 154.
14. კუტალია ლ-გ., ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, 732-735.
15. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ. ნიგნში: ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნის, მე-7 გამოც., თბ., 2019, 50, 471.
16. მაისურაძე დ., მართლწერილის ერთიანობის პრინციპი და მისი გაგება ქართულ ლიტერატურაში, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, 2021, №2.
17. მამულაშვილი გ. ნიგნში: ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, მე-7 გამოც., თბ., 2019, 181.
18. მალლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებითსამართლებრივი ანალიზი), თბ., 2013, 75.
19. მაყაშვილი ვ. ნიგნში: წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ. (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, 47.
20. მჭედლოშვილი-ჭედრიხი ქ. ნიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-3 გამოცემა, თბ., 2018, 272.
21. მჭედლოშვილი-ჭედრიხი ქ., დანაშაულის ჩადენის ადგილის პრობლემისათვის მედიის სისხლის სამართალში, ნიგნში: აკაკი ლაბარტყავა 80, თბ., 2013, 230-241.
22. მჭედლოშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, 71.
23. ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2015, 305.
24. ნაჭყებია გ., დანაშაული ბრალის ორი ფორმით, „სამართლის ჟურნალი“, 2009, №1, 29.
25. ნაჭყებია გ., ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა სისხლის სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1975, 6.
26. რუსიაშვილი ჯ., მართლწინააღმდეგობის შინაარსი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1977, №1, 27-33.
27. სულაქველიძე დ., დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, ჟურნ. „სამართალი“, №3-4, 1991, 11.
28. სურგულაძე ლ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, 52.
29. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, 288-289, 298, 333, 304, 603.
30. ტყეშელიაძე გ. ნიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, 204, 206.
31. ტყეშელიაძე გ., პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თბ., 1965, 21.
32. უგრეხელიძე მ., სამართალი, როგორც განზომილებათა სისტემა (ლეგიმეტრიის შესავლისათვის), ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიეროკრებული, თბ., 2016, 49.
33. უგრეხელიძე მ., ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 2, 3, 5-6, 7, 8-9, 10, 12, 13, 14, 15, 16, 17, 19, 20, 21, 23, 24, 25, 26, 29, 30, 31-34, 36, 38, 40, 41, 42, 43, 47, 45, 46, 47, 49, 50, 53, 54, 55, 56.
34. უგრეხელიძე მ., ბრალის შერეული ანუ ორმაგი ფორმის შესახებ, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №1, 1980, 33-34.

35. უგრეხელიძე მ., ფსიქიკური დამოკიდებულება მართლწინააღმდეგობისადმი გაუფრთხილებლობის დროს, წიგნში: იურიდიული ძიებანი, თ. წერეთლის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1977, 99-100.
36. უგრეხელიძე მ., შერეული ანუ ორმაგი ბრალი სისხლის სამართალში, ჟურნ. „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, №1, 1971, 160-161.
37. შავგულიძე თ., სურგულაძე ლ., საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბ., 1988, 7.
38. ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, 79, 155-156, 271, 225, 248-249.
39. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, 103, 231.
40. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, 350-488.
41. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, 44, 410, 419, 420.
42. წერეთელი თ., ბრალის ცნების განვითარება საბჭოთა სისხლის სამართალში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №4, 1967, 40.
43. წულაია ზ., სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი I, თბ., 2000, 179.
44. ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, 156-162.
45. ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016, 119, 154.
46. ჯიშკარიანი ბ., კაზუსები სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2015, 107.
47. Alwart H., Strafwürdiges Versuch, Eine Analyse zum Begriff der Strafwürdigkeit und zur Struktur des Versuchsdelikts, Berlin, 1982, 142-143.
48. Bauer W., Die Abgrenzung des dolus eventualis – ein Problem der Versuchsdogmatik, Wistra 1991, 171.
49. BGH NStZ 1990, 37.
50. BGHSt 2, 200.
51. Bockelmann P., Willensfreiheit und Zurechnungsfähigkeit, ZStW 1963, 380.
52. BVerfGE 123, 413.
53. Burkhardt B., Gedanken zu einem individual und sozial psychologisch fundierten Schuldbegriff, Festschrift für Manfred Maiwald zum 75. Geburtstag, Berlin, 2010, 82, 83.
54. Cramer P., Der Vollrauschtatbestand als abstraktes Gefährdungsdelikt, 1962, 68-69.
55. Dencker F., Der verschuldete rechtfertigende Notstand-BayObLG, NJW 1978, 2046, Jus 1979, 749.
56. Dubber M., Einführung in das US-amerikanische Strafrecht, München, 2005, 125-126.
57. Ebert U., Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, 74
58. Eisele J., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Auflage, Stuttgart 2019, 25.
59. Engisch K., Die Einheit der Rechtsordnung, 1987, 58.
60. Felix D., Einheit der Rechtsordnung, Tübingen, 1998, 10-12, 59, 79, 81, 82, 217, 218.
61. Fischer T., Strafgesetzbuch, Kommentar, 68. Auflage, 2021, §315d Rn. 19, §323b Rn. 4.
62. Fischer Th., Das Verhältnis der Bekenntnisbeschimpfung (§ 166 StGB) zur Volksverhetzung (§130 StGB), GA 1989, 454.
63. Frank R., Über den Aufbau des Schuldbegriffs, in: Frank R., Festschrift für die Juristische Fakultät in Giessen zum Universitäts-Jubiläum, Giessen, 1907, 529, 524, 526.
64. Frister H., Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2015, 180.
65. Gössel K., Dogmatische Überlegungen zur Teilnahme am erfolgsqualifizierten Delikt nach § 18 StGB, Lange-FS, Berlin, 1976, 222-223, 238-239.

66. *Graul E.*, Abstrakte Gefährdungsdelikte und Präsumtionen im Strafrecht, Berlin, 1991, 133.
67. *Günther H.L.*, Strafrechtswidrigkeit und Strafunrechtsausschluß, 1983, 86, 85, 93, 94, 100-101, 104.
68. *Heinrich B.*, Strafrecht, AT, 6. Aufl., Stuttgart, 2019, 57, 58, 126, 163.
69. *Heinrich B.*, Der Erfolgsort beim abstrakten Gefährdungsdelikt, GA 1999, 79.
70. *Hilgendorf E.* in: *Arzt G., Weber U., Heinrich B., Hilgendorf E.*, Strafrecht, BT, Lehrbuch, 4. Auflage, 2021, 922, §35 Rn. 118.
71. *Hilgendorf E.*, Die Neuen Medien und das Strafrecht, ZStW 2001, 662-663.
72. *Hilgendorf E.*, Überlegungen zur strafrechtlichen Interpretation des Ubiquitätsprinzips im Zeitalter des Internet, NJW, 1997, 1875.
73. *Hirsch H.*, Zur Problematik des erfolgsqualifizierten Delikts, GA 1972, 65.
74. *Horn E.*, Konkrete Gefährdungsdelikte, Köln, 1973, 208.
75. *Horn H.R.*, Untersuchung zur Struktur der Rechtswidrigkeit, Berlin, 1961, 66-67.
76. *Jescheck H-H., Weigend Th.*, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Aufl., Berlin, 1996, 244, 407-408, 411, 515.
77. *Kirchhof P.* in: *Merten D. (Hrsg.)*, Aktuelle Probleme des Polizeirechts, Berlin, 1977, 69, 70, 80, 81.
78. *Kölz-Ott M.*, Eventualvorsatz und Versuch, Zürich, 1974, 39.
79. *Krey V., Esser R.*, Deutsches Strafrecht, AT, 6. Aufl., Stuttgart, 2016, 95.
80. *Lackner K., Kühl K.*, Strafgesetzbuch, Kommentar, 29. Auflage, 2018, §315d, Rn. 6.
81. *Lampe E.*, Genügt für den Entschluß des Täters in §43 StGB sein bedingter Vorsatz?, NJW 1958, 333.
82. *Maiwald M.*, Gedanken zu sozialen Schuldbegriff, Festschrift für Karl Lackner zum 70. Geburtstag, Berlin, 1987, 154, 163, 164.
83. *Martin J.*, Strafbarkeit grenzüberschreitender Umweltbeeinträchtigungen, Zugleich ein Beitrag zur Gefährdungsdogmatik und zum Umweltvölkerrecht, Freiburg, 1989, 85.
84. *Mitsch W.* in: *Baumann J., Weber U., Mitsch W., Eisele J.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, 334, 340.
85. *Pegel Ch.* in: Münchener Kommentar, Strafgesetzbuch, 3. Auflage, 2019, §315d Rn. 27.
86. *Puppe I.*, Der halbherzige Rücktritt, NStZ, 1984, 491.
87. *Rengier R.*, Erfolgsqualifizierte Delikte und verwandte Erscheinungsformen, Tübingen, 1986, 140, 240.
88. *Roxin C., Greco L.*, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 5. Auflage, 2020, 147, §14 Rn. 32; §19 Rn. 10-11, 12, 15, 21.
89. *Roxin C.*, Strafrecht, AT, Band II, München, 2003, 353, §29 Rn. 71.
90. *Satzger H.*, Die Anwendung des deutschen Strafrechts auf grenzüberschreitende Gefährdungsdelikte, NStZ 1998, 113, 114, 115.
91. *Sauer D.*, Die Fahrlässigkeitsdogmatik der Strafrechtlehre und der Strafrechtsprechung, Hamburg, 2003, 246.
92. *Schmidt W.*, Der Ermessensrahmen bei der Versagung einer Straßen rechtlichen Sondernutzungserlaubnis, Neue Zeitschrift Für Verwaltungsrecht, 1985, 169.
93. *Schramm E.*, Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, 160.
94. *Schröder H.*, Abstrakt-konkrete Gefährdungsdelikte?, JZ 1967, 522.
95. *Sternberg-Lieben D.* in: *Schönke A., Schröder H.*, Strafgesetzbuch, Kommentar, 30. Auflage, 2019, §32 Rn. 27c.
96. *Stooss C.*, Dolus eventualis und Gefährdung, ZStW 1895 (15), 200.
97. *Stratenwerth G.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Die Straftat, 1981, 74.
98. *Streng F.*, Rücktritt und doluseventualis, JZ, 1990, 219.

99. *Teubner G.*, Recht als autopoietisches System, 1989, 138-139.
100. *Tiedemann K.*, *Kindhäuser U.*, Umweltstrafrecht-Bewährung oder Reform?, NSStZ 1988, 346.
101. *Tiedemann K.* in: Leipziger Kommentar, 11. Auflage, §263Rn. 3.
102. *Wessels J.*, *Beulke W.*, *Satzger H.*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 51. Aufl., Heidelberg, 2021, 134.
103. *Widmaier G.*, Die Teilbarkeit der Unrechtsbewertung – OLG Celle, NJW 1969, 1775, Jus 1970, 611-615.
104. *Zaczyk R.*, Das Unrecht der versuchten Tat, Berlin, 1989, 322-325.
105. *Zielinski D.*, Handlungs- und Erfolgsunwert im Unrechtsbegriff, Berlin, 1973, 168.
106. *Zieschang F.*, Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998, 15-22.
107. *Ткешелиадзе Г.*, Судебная практика и уголовный Закон, Тб., 1975, 51.
108. *Угрехელიძე М.*, Проблема неосторожной вины в уголовном праве, Тб., 1976, 101, 102-103;
109. *Церетели Т.В.*, Деликтысозданияопасности, Журн. «Советскоегосударство и право», №8, 1970.
110. *Церетели Т.*, К вопросу о понятии вины, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, №1, 129.
111. *Журавлев М.П.*, *Никулин С.И. (Ред.)*, Уголовноеправо, Общая и Особеннаячасти, 2-е издание, М., 2008, 382.